

ცისკარი.

1867

იენისი.


წელიწადი მეთერთმეტე.

წოდება თხზულებათა:

- 1 — სიტყვა. გაბრიელ ეპისკოპოსისა.
- 2 — ეილჰელმ ტელი, დრამატუკული თხზულება. თარგ. ნ. ავალიშვილისა.
- 3 — გლახები. (პლემჩევიდგან). ნ. ვარდიშვილისა.
- 4 — ბუნების მეცნიერებიდამ. ი. კერესელიძისა.
- 5 — თბილისელი დონ კიხოტი. ნ. ავალიშვილისა.

თბილისს.

კერესელიძის სტამბა



სიტყვა

კვირიკესა განრღვეულისასა.

ეტყოდეს მას ურიანი იგი: შაბათი არს და
არა ჯერ არს შენდა აღებად ცხელი შენი.
(იოან. ე. ი.)

წინდელი სახარება მოგვითხრობს ჩვენ, ძმანო ქრის-
ტიანნო, რომელ მაცხოვარმან ერთხელ იხილა რა ოცდა
ათთერამეტი წლის განრღვეული, მდებარე სარეცელსა ზედა,
შეებრაღა იგი, განკურნა და უბრძანა მას: ა ლ ს დ ე გ, ა ლ ი-
დ ე ც ხ ე დ ა რ ი შ ე ნ ი და ვ ი დ ო დ ე. ურიანი იხი-
ლეს რა განკურნებული იგი, მიმავალი ცხელითურთ და
შეიტყვეს რა, რომელ იგი განკურნა მაცხოვარმან, არა
თუ არ შესწირეს ღმერთსა მადლობა და დიდება, არამედ
განრისხდენ იმ ზომად, რომ იწყეს დევნა იესოსი და უნ-
დოდათ მოკვლა მისი. რისთვის? მისთვის რომ ეს საქმე
მაცხოვარმან მოახთინა შაბათის დღეს. რ ა მ ე თ უ
ა მ ა ს ი ქ მ ო დ ა ი გ ი შ ა ბ ა თ ს, ვითარცა მენიშ-
ნავს სახარება. შ ა ბ ა თ ი ა რ ს და ა რ ა ჯ ე რ ა რ ს

შენ და ადამიანი შენი, ეტყოდეს ურბანი განკურნებულსა მას. ურბანი ფიქრობდენ, რომ შაბათის დღეს კაცი უნდა იჯდეს უძრავად და არა ქმნას არცა კეთილი საქმე, არცა ბოროტა; ეს აზრი იყო ცრუ და უსაფუძვლო, გარნა იგინი ესოდენ იყენენ დაჯერებული მას ზედა, რომელ სიკვდილს ემუქრებოდენ ყოველსა, ვინც იყო წინააღმდეგი ამ აზრისა.

აჰა, ძმანო, რა დიდი გავლენა და მოქმედება აქვს ზოგიერთსა ცრუსა აზრსა, უსაფუძვლოსა, მოგონებულსა წარმოდგენასა კაცის სულზე და ყოფაქცევზე. როდესაც რომელიმე ცრუ აზრი დაიპყრობს კაცის გონებას, იგი გარეეყო ყოველთა წინა მისთა სიტყვათა და მოქმედებათა, გადაექცევა მას ჩვეულებად და მისცემს მას დიდსა დაბოკოლებასა. ვიცით ჩუპნ ყოველთა რა დიდი გავლენა აქვს სოფლის ჩუპულებასა კაცის გულზე, რა სახით ემორჩილება ყოველი კაცი სოფლის ჩვეულებას, და როგორ ემინია მას ჩვეულების წინააღმდეგობა. ჩვეულება თითქმის სჯულზე უმტკიცესია. მრავალ გზის ეხედაეთ, რომელ ზოგიერთთა კაცთა არც საღმრთო სჯულის და არც საეროებასა დარღვევა ისთე არ გაუძნელდება, როგორათაც წინააღმდეგობა რომლისამე სოფლის ჩვეულებისა, თუმცა სენდისი და ჭკუა მისი ხშირად უმტკიცებდეს მას, რომ ზოგიერთი ჩუპულება არის უსარგებლო და უსაფუძვლო. გარნა, ვინააღგან წინათვე ესთქვიოთ, რომელ უმრავლესნი სოფლის ჩვეულებანი არიან დამოკიდებულნი რომელთამე ცრუთა და მოგონებულთა აზრთა და წარმოდგენათა ზედა, მამა სადამე აქედგან უნდა გავსინჯოთ და ვიხილოთ რა

შენებელი არის, როდესაც კაცთა შორის სუფევენ ცრუნი აზრნი და მას ზედა დაფუძნებულნი შენებელნი ჩვეულებანი და როგორ უნდა ცდილობდეს კეთილ გონიერი კაცი რომ მოსპოს იგინი საზოგადოებასა შინა.

სამწუხაროდ მრავალნი ცრუნი აზრნი და შენებელნი ჩვეულებანი მუშაობენ ქვეყანასა შინა სტუპსა. ვინც კარგა დაუკვირდება და მახლობლად შეიტყობს ჩუპს ქვეყანაში მცხოვრებთა მდგომარეობასა, იგი სწორეთ იქმნება განცეფრებული რა სამინელი გაელენა აქუს მათ შორის მრავალთა პირდაპირ შენებელთა და ცხადად ცრუთა აზრთა, რა სწინლად ემონებთან მათ იგინი და რაოდენთა ცოდვითა შინა შთაფარდებიან იგინი მათგან. თითქმის ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე, ყოველი მცირე და დიდი საქმის აღსრულებაზე, გაერევა ერთი რამე ცრუ და შენებელი აზრი უბრალო დაბალს ხალხში. ზოგჯერ დაბალ გლევს კაცს ზოგიერთი მზაკვარი მკითხავი ისრეთს საზარელს და მძიმე საქმეზე მისდრეკს და ისრეთს გასაოცარს მოქმედებაში შეიყვანს, რომელსაც გონიერი კაციც არ დაიჯერებს, თუ თავის თვალთა არ ნახა.

გარნა სამწუხაროდ, არათუ დაბალთა ხალხთა შინა, არამედ ყოველთა სხვათა წოდების ხალხთა შორის სუფევენ მრავალნი ცუდნი აზრნი და ჩვეულებანი: მაგალითებრ, არა ერთ გზის შოგვისხენიებია ჩვენ თვით ამა ადგილისაგან, რა უსარგებლო და შენებელნი არს ის გძელო და გაქსნევებული ტირილი, რომელი ვიციტ ჩვენ მიცვალებულთა ზედა და რომელი თვით სიტყვისა მებრ მრავალთა პატივცემულთა თაფადთა და აზნაურთა ძღვეს დიდსა ხარჯსა

და ზარალსა მიცვალებულის ჭირისუფალსა, ხოლო თვით მიცვალებულისთენაც არ არის სასარგებლო. აწ ამ ქვეყნის პატრიარქულმან კეთილ შობილმან საზოგადოებამან, ქალაქსა ამას შინა შეყრებილმან, უნდა იფიქროს ამაზე და ჯგერო-ფანი საზღვარი დაუდვას ჩვეულებასა ამას, რომელი ამ ახ-ლანდელსა დროებასა მრავალთა გამო ცელილებათა, სოფ-ლის წყობილებათა შინა მოხდენილთა, არის უფრორე მე-ნებელი და შეუსაბამო.

მეორე ცრუ ზარი და მას ზედა დამოკიდებული ჩვეუ-ლება, რომელიც არა ნაკლება აძლევს ენებასა მრმვალთა კაცთა, არის შემდგომი: მრავალნი პირნი ესრეთ ფიქრობენ, ვითომც შრომა, ანუ მუშაობა, ორად გაიყოფა: ზოგიერთი შრომა და მუშაობა არის უკადრისი, შემარცხენელი და დაწალი და ზოგ-ერთი არის მღალი, საქები და საქადრისი. ესრეთი გაყოფა შრომისა და მუშაობისა ორად არის სრულიად უსაფუძვლო და მავნებელი. წინა აღმდეგ ამისა ისრეთ უნდა ესთქვათ, რომელ ყოველი შრომა, რომელიც კი საზრგებლობას მის ცემს კაცს და შეეწევა მისს რჩენასა, ღიახ არის მადლიანი და საქადრისი ყოვლისა კაცისათვის. უკადრისი და შემარც-ხენელი კაცისა არის მხოლოდ უსაქმოდ ჰყოფნა. გარნა ვინაჲდგან ქვეყანაზე ათასი სხვა და სხვა ნაჯრი მუშაობა და შრომა არის და არცა ერთი მათგანი არ დაამდაბლებს, ანუ შეარცხენს კაცსა, რომელი საქმე ანუ შრომა გამოა-რჩიოს თითოეულმა კაცმა და რომელს მოქმედებას შეუტეოს? ეს არის დამოკიდებული ბუნებაზეკაცი კუთხედა გარემოებებზე. ჩვენ მხოლოდ ის უნდა გვახსოვდეს, რომელ ყოველმა კაცმა ერთი რომელიმე საქმე უნდა გამოირჩიოს; უქმად არ უნდა

იყოს არაფერი; ხოლო, სახელდობ, რომელი შრომა ანუ მუშაობა არის უმჯობესი მისთვის, ამას შეატყობინებს მისი ჭკუა და გამოცდილება. აქ მე გაგახსოვნებთ ერთს გასაყვირვალს მაგალითს, თუმცა დარწმუნებული ვარ მრავალთა თქუტუნგანთაც გაუგზნიათ იგი. როდესაც პეტრე პირველი დაჯდა რუსეთის ტახტზე, მას ჰყავდნენ მრავალნი მილონნი ქვემეგრდომები და ჰქონდა მრავალი სიმდიდრე. რაღა საჭირო იქნებოდა მისთვის უბრალო მუშაობა? გარნა, რადგანაც შეხედა, რომ მის სამფლობელოში არ იყო სრულად სწავლა და განათლება, მან დასტევა მისი ხელმწიფობა, ჩაიცვა უბრალო მუშის ტანისამოსი, წავიდა განათლებულ ქვეყნებში და დაიწყო მუნ სწავლა ყოვლისა ხელოვნებისა. მრავალი წლის განმავლობაში იგი მუშაობდა ცუდითა და ხერხითა, მან მიითვისა ყოველი მამინდელი სწავლა და ხელოვნება და მობრუნებულმან თავის სახელმწიფოში გააჩინა ნათელი სწავლისა, რომლითა გაამდიდრა რუსეთი.

გარნა რა საჭირო არის ჩუტუნთვის მაგალითი საერო ისტორიისაგან? ჩუტუნ ქრისტიანენი ვართ, ვითარცა ქრისტიანეთა, უდიდესი ფასი უნდა მივაწეროთ იმ მაგალითსა, რომელსა გვაჩვენებს საღმრთო ისტორია. მოვიყვანათ იქაღდან მაგალითნი. მაცხოვარი იესო, ეიდრე სრულ ასაკს მოსვლამდე და სახარების ქადაგების დაწყებამდე, სცხოვრებდა იოსებ ხუროს სახლში, და ეხმარებოდა მას ხურობაში. უდიდესი მოციქულთა შორის პავლე, როდესაც თავისუფალ დროს იპოვნიდა ქადაგებიდგან, იწყებდა მისი ხელითა კრეკას ბაჰპის კარეებისას და იქაღდან არჩენდა თავის თავს მეტყველი, იოანე ოქროპირი თავის უფალი რომ იქნებო-

უმადლესნი მამათა შორის ეასილი დიდი, გრიგოლი ლუთის
დნენ ეკლესიის მსახურებისაგან, აიღებდენ ბარს და თოხსა
და შეუღებოდნენ მიწის კეთებას. ესენი ყოველნი სასირც-
ხოდ არ რაცხდენ ისრეთსა მუშაობასა.

მოკლედ, გავაგლოთ გულისაგან ის ცრუ, ცბიერი და
წყვარი აზრი, რომ მუშაობა იყოს კაცის ღირსების
დამამდაბლებელი.

ბედნიერი არის ის ქვეყანა, რომელსა შინა ყოველნი
მცხოვრებნი, ღიღნი და შცარენი, არიან შრომის მო-
ყვარენი, თავის შრომაზე და მოღვაწეობაზე აქეთ იმედი და
შრომიდგან ელიან წარმატებასა. საწყალი და საბრალო
არის ის ქვეყანა, სადაცა უმრავლესნი პირნი შეჩერებიან და
უმზერენ მთავრობასა, მართებლობასა, და ყოველი იმედი
ბედნიერებისა და წარმატებისა დაუდევით წინებზე, ჯამაგარ-
ზე, ჯილდოზე; ხოლო შრომასა და მუშაობასა შეურაცხ
ყოფენ და უყადრისად მიაჩნიათ. ღმერთო! განაძე გულისა
ჩუპნისაგან ყოველი ცრუ აზრი: მოგვეც მხნეობა, დაბადე
ჩუპნ შორის სული შრომისა და მოღვაწეებისა სულიერი-
სა და ხორციელისა.

ეპისკოპოზი გ ა ბ რ ი ე ლ.

გილჯელჲ სეღლი.

დრამატუკული თხზულება

ჰილღერისა.

თარგმნილი

ნ. ავალიშვილისაგან

1864 წ.

ზომქმედნი პირნი.

გერმან გესლერი, იმპე- რატორის მოადგილე (ლან- დფოხტი) შვიცისა და ური- სა.	კლაუს ფონ-დერ- ფლოე, ბურჯაზად ბუხელი, არნოლდ სევა,	ნის მო- სახ- ლენი.
ვერნერაფონ-ატტინგ უზე- ნი, მფლობელი ბარონი.	ფეიფერი ლუცერნელი. კუნცი გერზაუელი.	
ულრის ფონ — რუდენცი, ამის ძმის წული.	ვენნი, მეთევზის შვილი სენნი, მწყემსის შვილი	
ვერნერ შტაუფახერი, კონრად ხუნი, იშელ რედინგი, განს მაუერი იორგ გოფი, ჟულიხ შმიტი, იოსტ ვეილერი,	შეი- ცის მოსა- ხლე- ნი.	გერტრუდა, შტაუფახერის ცოლი, გელფიზა, ტელლის ცოლი, ვალ- ტერ ფურსტის ქალი. ბერტა ფონ-ბრუნე, მდიდარი ქალი. არმგარტა, მესტილდა, გლეხის ელსპეტა, ქალები.
ვალტერ ფურსტი, ვილჰელმ ტელლი, რესსელმანი, პასტორი პეტერმანი, კისტერი, კუონი, მწყემსი, ვერნი, მონადირე, რუოდი, მეთევზე,	ურ- ის მო- სახ- ლე- ნი.	გილდებარდა ვალტერი, ტელლის შვილები. ვილჰელმი, ფრისგარდი, სალდათები. ლეიტვოლდი, რუდოლფ გარბასი, გესლერის შტალმეისტერი.
არნოლდ მელსტალი, კონრად ბაუმგარტენი, მეიერ სარენი, სტრუტ ვინკელიდი,	უნ- ტერ- ვალ- დე-	იოანე პარრიციდა, შვაბის გერცოგი შტუსსი, მემვილდისრე. მესაყვირე. მთხრობელი.

შენობის ზედა მხედველი.

კალატოზი, მისი კარგრები

და მუშები.

გზირა. ძმანი მოწყალებებისა.

გესლერისა და ლანდერბე-

რგის მოდარაჯენი.

გლებ კაცები და გლები ქალები

ტყის პირის ქალაქებისა.

მოქმედება პირველი.

გამოსვლა პირველი.

მაღალი კლდოვანი ნაპირი ოთხ კანტონ შუა მდებარე ტბისა. სცენაზედ მოჩანს ტბის პატარა უბე. ტბის პირზედ, ცოტა მოშორებით, დგას ქოხი. ქენნი ნავით ცურავს. ტბის გაღმა მზე მოჰფენია შვიცის მწვანე ველებს და სოფლებს; მარცხნივ მოჩანან შერეულბლული კლდეები; მარჯვნივ ჩანან თოვლიანი მთები, რომელნიც ნელ-ნელა ცის დასაყალბი იკარგებიან. ფარდის ახდამდის ისმის სალამურის ხმა, ცხვრების ბლავილი და ზარების წყარუნი.

ქ ე ნ ნ ი (ნაწმი მღერის).

ანკარა წყალი ცივად ნარნარებს,
და ამ წყლისა პირს სძინავს პატარას,
რომელიც ჰხედავს რალაცა სიზმრებს
და ისმენს ძილში მშვენიერსა ხმას;
თითქოს ზეციდამ ისმოდა ეს ხმა,
გამომდინარე ანგელოზთ ბაგით,
და ამ ხმით უფალს უძღვნიდნენ შესხმას
და უგალობდნენ ტკბილის ღალადით.
ამ ხმამ გაუკრთო პატარას ძილი
და დაანახა მხოლოდ წყლის ტალღა,
შემდეგ მოესმა ამას ძახილი,
და ამის შემდეგ აშგვარი მღერა:
„პატარავ შენ ჩემი ხარ,
არვის მიგცემ — ჩემი ხარ,

ვინც უნდა წამედავოს —

მაინც კიდევ ჩემი ხარ;

მე წაგიყვან მძინარეს.

და გიჩვენებ წყლის ზვირთებს.

კ უ რ ნ ი (მთაზედ მღერის).

მშვიდობით, ველნო!

ზამთარი მოდის;

მწყემსიც შინასკენ

ფარებით მიდის.

მშვიდობით, ველნო! შევალთ სახლებში,

ვიდრე გუგული გაზაფხულს გვიმღერს,

ვიდრე ჩასხდებით თქვენ ყევეილებში,

და თქვენს გულზედა რუები იდენს.

მშვიდობით, ველნო!

ზამთარი მოდის;

მწყემსიც შინასკენ

ფარებით მიდის.

ე ე რ ნ ი (გამოჩნდება იმის პირდაპირ სერზედ).

მთა გრიალებს და კლდე ხმას აძლებს;

კადრგი მეისრე მის ბილიკზედ კვალს არ აირევს.

კლდეს დაჰხურვია

ყინვის ყაყარი, —

მეისრე მაინც უშიშრია.

მის დასწვრივ მთის ძირს ზღვაი კოშინებს

და თვის ომხიერით თეალებს აბნელებს,

მეისრეს ჰგონია დიდი ბინდია:

ვერ ჰხედავს იგი სამშობლოს მიწდერებს,

სამშობლოს მწევანეს, საამო ყანებს.

(სტრათი იცვლება; ყრუ გრილი მოისმის, მთებიდგან და არე-მარეს მოეფინება სქელი ღრუბლები.)

რ უ ო დ ი, მეთევზე, გამოდის ქოხიდან; ე ე რ ნ ი, ზონა-
ღირე, კლდებდ ჩამოდის; კ უ ო ნ ი, მწყემსი, გუდა აკიდე-
ბული მოდის; ს ე ნ ნ ი, ამის შვილი, უკან მოსდევს.

რ უ ო დ ი.

შენნი, ჩქარა მოაგროვე ერთ ალაგს ეგ ბადეები. ზედავ
ცამ როგორი მოიქურუშა და ქარიც ქმუის: დავეშურ-
ნეთ — ნიაედვარმა არ მოგვასწროს.

კ უ ო ნ ი.

რალას ეშურები, ძმობილო? წეიმა კიდევ დაიწ-
ყო; ჰხელავ, რა ნაირად ეტანაბიან ცხვრები ბალახს; აგერ
ძალდიც რა რიგად სჩიჩქნის მიწას.

ე ე რ ნ ი.

ტყუილად ხტოან ე ოხერი თევზები თუ? შეხე ი
თევზი-ელაპიაც რა რიგათ ყურყუმელაობს: სწორედ ჭეჭა-
ქუხილი იქნება.

კ უ ო ნ ი (შვილს).

სენნი, ფარა ხომ სრულად არის?

ს ე ნ ნ ი.

სრულად არის, მამი, — აგერ ჩენი, ლიზლიც, აი ზარს
არ აწკარუნებს.

კ უ ო ნ ი.

მამსხვებიც აქ იქნებიან: მარტო მაგანიცის ხოლმეშორს წასვლა

რ უ ო დ ი.

შენ, ძმობილო კარგი ზარები გიბოი.

ვ ე რ ნ ი.

საქონელიც კარგია! სულ შენია, კაცო, ე ცხერები?

კ უ ო ნ ი.

შე კაი კაცო! შე ენ მამცემს ამდენს? ჩემი ბატონისაა —
ატჷინგაუზენისა.

რ უ ო ღ ი.

ბიჭოს! ამ ძროხას რა კარგი საყელური ჰქონია, როგო
უხდება კიდეც!..

კ უ ო ნ ი.

აბა რაღა ჩიჩინი უნდა: თითონაც კარგათ იცის რა
უხდება და ავი ამაყოფს კიდეც. საყელური რა მოხს-
ნა, კაცო, ბალახს როდილა სძოვს ე დალოცვილი.

რ უ ო ღ ი.

რას ამბობ, კაცო! თითქოს გაეგებოდეს მაგდენი.

ვ ე რ ნ ი.

მამ არ იცი, ძაშიავე! პირუტყვსაც აქვს თავის ჰევა,
როგორც ადამიანს, მაშ... ეს შე კარგად ვიცი. ერთხელ
და ორჯელ არ მიდევნებია თვალი ჯეირნებისთვის. ი და-
ლოცვილებს, კაცო, თითო მეთვალყურე უდგასთ ხოლმე;
მივა თუ არა იმათ ახლოს მონადირე, — მაშინათვე ყარაუ-
ძლივით ხმას მისცემს, და ყველანი გაცვიან ხოლმე აქეთ-იქეთ.

რ უ ო ღ ი (შეცხვარეს.)

შინისკენ მიერეკები, უთუოთ?

კ უ ო ნ ი.

ჰო-დღე; საძარი შემოაკლდათ შთებში.

ვ ე რ ნ ი.

გზა შეიდობისა მოგცეს ღმერთმა!

კ უ ო ნ ი.

ღმერთმა გაგიმარჯოს! თქვენყენაც კი ათასი საფთხეა.....

რ უ ო ღ ი.

ვინ არის ე, ესე გახურებული რო მოდის ჩვენკენ?

ვ ე რ ნ ი.

ოჰ! ეს ჩვენი ბაუმგარტენია, — ალცელნელი.

ბ ა უ გ ა რ ტ ე ნ ი მოიბრუნს ქაქანიით.

ბ ა უ მ გ ა რ ტ ე ნ ი.

მეთევზე! ჩქარა ერთი ნავი, თუ ღმერთი გწამს!...

რ უ ო ღ ი.

რაო, კაცო, რას გეშურება?!..

ბ ა უ მ გ ა რ ტ ე ნ ი.

მოსხენ ერთი, ჩქარა, დროზედ გადამიყვანე!..

კ უ ო ნ ი.

ჩვენებურო! რა დაგმართვია? რა ყოფში ხარ?....

ვ ე რ ნ ი.

ვინ მოგდევს, კაცო, ჟუკან? ვერ მოესწრობი?!..

ბ ა უ მ გ ა რ ტ.

რას ამბობთ, სულით მეძებენ; ლანდფოხტმა მღევარი
გამომიყენა. ვაიმე! დავიღუპები, თუ ხელში ჩამიგდეს!

კ უ ო ნ ი.

რაზედ, კაცო? რათ დაგადვენა?

ბ ა უ მ გ ა რ.

ჯერ ერთი მიშველე რამე, მერე გიამბობ.

ვ ე რ ნ ი.

ე რ ა არის, კაცო, სისხლში მოსერილობარ?

ბაუმგარ.

როსბერგის მმართველი.

კუონი.

როგორ თუ? ბოლფენიშენი? იმან გამოგიყენა?

ბაუმგარტ.

რალას გამომიყენებდა: კისერი გაეგდებინე...

ყველანი (სახტად ღარჩებიან).

ბიჭო! ეს რა გიქნია?!

ბაუმგარტ.

რა მიქნია!...თქვენ რალას იქლით?...მე ჩემი ნამუსი ყველას მიჩვენია: თავი შემირცხვინა....ცოლი წამართვა...

კუონი.

როგორ! იმან?!

ბაუმგარტ.

სწორედ იმან! მაგრამ, მადლობა ღმერთსა! აი ამ ჩემი ხანჯლით სიცოცხლე კი ჩაუმწარე.

ვერნი.

რას ამბობ? ხანჯალი ამოიღე?!

კუონი.

ერთი გამაგებინე რამე, რაგიქნია? თქვი ერთი ღროთ, მანამ მტევზე წავს ახსნის.

ბაუმგარტ.

რალა გაგაგებინოთ? ტყეში ვიყავ, შეშასა ვჭრიდი; ერთიც ენახო, ჩემი ცოლი გაფითრებული მოვარდა ჩემთან — მეუბნება: როსბერგის მთავარ მმართველი მოიჭრა ჩვენსაო; ჩვენ აბანოებში ბანება მოინდომაო და მეც უნდოდა ძალით შევეყვანეო შიგ. — მაგრამ ძლივ-ძლივს დასხლეტოდა

ხელილამ და მოიჭრა ჩემთან ამ აშხით; მეც ვეღარა გავეგერა თავ-
ბედისა, — გაესწიე მამინე შინასკენ და — დასწყევლოს ღმერთმა
იმის ეშმაკი! აჲ ისეც შინ არ დამხედა ის სულის მტერი!
და რაღა... იქვე ანდერძა აუგე ამ ხანჯლით!

ვერნი.

ღეთის წინაშე, შენ გასამტყუნარი არა ხარ.

კუონი.

ბარაქალა შენს ბიჭობას! კარგათ ამოგიყრია ჯავრი:
გადაგიხდია, ძმავე, უნტერვალდენის სამაგიერო.

ბაუმგარ.

ეს აშხავე უციხლავ გაეგოთ ქალაქში და მღევარი გა-
მომიყენეს.. დრო მიდის ლაპარაკს თავი დაეანებოთ...

(ქუხს).

კუონი.

მეზადე! გაიყვა ღროთ ეს კაცი!

რუოდი.

ეხლა როგორღა იქნება, ამ ვაი-ვაგლახში? უნდა მოვე-
ცადოთ მინამ გადიღებს.

ბაუმგარ.

ვაი მე თავო! ვიღუპები!..

კუონი (მეთევზეს).

რას ამბობს ერთი, თუ ღმერთი გწამს, შენ შენი ვალი
ასრულებ: ეს კაცი სიკვდილს გადაარჩინე, მანამ შეგხილიან
რამე: ჩვენც აღამიანის შეილები ვართ — ეგება რა შეგვემხვას!

(ელავს, ჭეჭავს, ქარიც ამოფარდება).

რუოდი.

ერთი მეხედე რა ამბავშია ტბა; ზვირთი ზვირთზედ გა-
დადის და გაღმოდის... აბა როგორ მოუსეა ნიჩაფი?

ბ ა უ მ გ ა რ ტ. (მოეხვევა).

მიშველე რამე, შენი ქირიმე! ღმერთი გადაგიხდის მაგიერს.
ვერნი.

სწორედ, სულს ჩაჰბერავ!

კ უ ო ნ ი.

სახლობა ჰყავს, კაცო! ცოლი, შვილები...

(რამდენჯერმე დაიქუხებს).

რ უ ო დ ი.

ახლა ჩემს სიცოცხლეს კი არაფრად აფასებთ? მეც მინ-
და კაცის შველა, მაგრამ რო ვერაფერს გავაწყობ. . .

ბ ა უ მ გ ა რ ტ. (მუხლებზედ დაეცემა).

მამ ეგ არის იმედი გადავიწყვიტო?...ეს არის დავტყვე-
ვდი? ბორკილებს ვერ გავიქეც? ვაი მე! ამ ნაპირზედ ყილა
ჩემი სიცოცხლე!... ერთი მოსმის მეტი არაფერი უნდოდა...
სრიალით გავსწევდით! მაგრამ შეველა აღარ საიღამ მაქვს....
დავრჩი უწყალო!..

კ უ ო ნ ი.

ე ვ ი ნ ჰოდის აქეთ? — აბა ერთი გახედეთ.

ე ვ რ ნ ი.

ოჰ, ტელლი — ბიუტაღლენელი!

ტ ე ლ ლ ი (შემოვა შვილდისრით).

რას გეხეწებათ ეს კაცი? ეინ არის? სადაუტრია?

კ უ ო ნ ი.

აღცელნელია: მთავარ მმართველი მოუკლავს როსბერგ-
ში თავის გაუპატიურებისთვის და გამოქცეულა. ახლა ლა-
ნდფოფხტს მღევარი გამოუყენებია, და აი მეთევზეს ეხე-
წება გადამიყვანეო, მაგრამ უარს ეუბნება: ტბა ღელავსო.

რ უ ო ღ ი .

აი ტელიც აქ არის,—აშან კარგათ იცის ნიჭის მოს-
მა—აბა ამას ვითხაე: ეხლანდობა კაცი ამ ტბას?

(ძალიან დაიჭიკებს; ტბა უფრო აღელდება).

უჰ! შეხე ირთი! ღმერთმა ღიმიფაროს თავი არ გავიწი-
რო....გიჟი ხომ არა ვარ?!

ტ ე ლ ლ ი .

კაცო, რას იმბობ! შენ თავზე განა მაგდენს იფიქრებდი,
რომ ვინმე ირჩობოდეს წყალში? უშველე რამე — ღმერთიც
შენ გიშველის!

რ უ ო ღ ი .

ხმელზედ მეც კარგად ვეცი დარიგება; აი ტბა, ეს ნაფი
და ესეც შენ.

ტ ე ლ ლ ი .

ტბა დამშვიდდება, მაგრამ ლანდფოხტი თავისას არ და-
იშლის. უშველე რამე, მეთევზე!

ყ ვ ე ლ ა ნ ი .

უშველე, კაცო! უშველე რამე! ეს კაცი დაიფარე!...

რ უ ო ღ ი .

რას ამბობთ, ხალხნო! ჩემი ღვიძლი შვილიც რომ იყოს,
მამინაც ფეხს ვერ მოვიცელიდი. დღეს სიმონის დღეა, იმ
იუდასი; ამ დღეს ყოველთვის კაცი იღუპება ხოლმე — იცით,
თუ არა?

ტ ე ლ ლ ი .

რას როტამ, კაცო! რადროს ეგებოია? ამ კაცის სიცო-
ცხლე ბეწვზედ დაიღია, — შენ კი აქ რაღაცეებს მოჰყალიბხარ..
თქვი: უშველი რასმე, თუ არა?

რუოდი.

არა, ძხვე, ჩემი საქმე არ არის.

ტელლი.

მეშ ღმერთმა გაბატოს! მოიტა ეგ წავი! თავი გაშიწი-
რავს: აბა ენახოთ გაეწყობ რასმე, თუ არა.

კუონი.

ოჰ, ჩვენო ტელლო! რა ყოჩალი კაცი ხარ!..

ვერნი.

ერთი შეხედეთ-და! კაცს კოჭებზედ შეეცემა.

ბაუმგარ.

ოხ, ტელლო! ჩემო ღმერთო! ჩემო მხსნელო!

ტელლი.

მტრის ხელიდამ გიხსნი, მაგრამ ამ დღეისაგან კი
ღმერთმა იცის. ღმერთი იყოს ჩვენი შემწე! (მეცხვარეს მი-
უბრუნდება) ჩვენებურო! ჩემ ცოლ-შვილს იმედი რამ მიე,
თუ დამემართოს რამე....ამისთანა საქმე ყველას ვაღია: სი
კვილი სიცოცლეა, ხომ იცით.

(ჩაჯდება ნაეში).

კუონი (მეთევზეს).

შე კაი კაცო! თავი რაზედ შეირცხვინე? თუ კი ტელლი
უსვამს, იმდენი შენ როგორ ვერ შეიძელი?

რუოდი.

მაგას ვერაფერ ჩაიდენდა: მაგისთანა მოსმა ჩვენ მთებში
არაფერ იცის.

ვერნი (კლდებზედავად გახედვის).

შეხედეთ! როგორ მილივლივებს ნავი. ღმერთმა გიშვე-
ლოს!..შენ მარჯვენას კი ვენაცვალე!...ერთი უყურეთ: რანა-

ირად ავობს ტალღებს!... გაქრა, კაცო, აღარ სადა ჩანს: ტალღამ ხომ არ შემოჰქრა? არა! არა! აგერ, გამოჩნდა! ყოჩაღ, ბიჭო! რა გულადი რამ არის ი დალოცვილი შვილი! გასაოცრად უსვამს.

ს ე ნ ნ ი.

შეხე! მღევარი მორბის ჩვენსკე.

კ უ ო ნ ი.

მართლა! სწორედ ისინი არიან.... აბა რლას მოეწევიან?

ლ ა ნ დ ე რ ბ ე რ გ ი ს რ ა ი ნ დ ე ბ ი ს ო ლ ქ ა.

პ ი რ ვ ე ლ ი.

კაცის გველელი სად არის? რაიქნა?

მ ე ო რ ე.

აქ არის; თქვენ დაჰმალეთ უთუოდ, გამოაჩინეთ ეხლავე?

კ უ ო ნ ი და რ უ ო დ ი.

ვის ეძებთ, კაცნო, ჯამათთნო!

პირველი (ნაეს თვალს შეასწოვს).

აგერ, აგერ! ის აფაჩი სად მიცურავს.

ვერნი (კლდილამ).

ვის მისდევთ? ა ამ ნაეს ხომ არ ეძებთ? რაღას სდგეხართ? გამოუდევით რალა!

მ ე ო რ ე.

ხელილამ გაგვისხლტა, შეჩვენებული!

პირველი.

ეს სულ თვენი საქმეა; სულ თქვენ გადაგახდევინებთ ამას: თქვენ საქონელს სულ გავრცეავთ; სახლებს დაგიწეავთ, აგანაცრებთ! (წაელენ).

სენნი (მირბის).

ვაი მე, ჩემო ცხერებო და ბატენებო

კუონი (ესეც გაიქცევა).

ვაი მე, საქონელო!

ვერნი.

ჰაი, თქვე ბოროტო სულელო!

რუოდი (გულმტკივნეულად).

ოხ, მაღალო ღმერთო! როდის მოგვივლენ ჩვენ მამუ-
ლის მსხნელს!

(შევა ქოხში).

გამოსვლა მეორე.

შვიცი.

დიდი შარა გზა; შტაუფახერის სახლის პირდაპირ, ხილთან
ღვას ერთი დიდი ცაცხვი)

ვერნერ შტაუფახერი და ლუცერნელი ფეიფერი
შემოდინ ლაპარაკით.

ფეიფერი.

ღიას, შტაუფახერო, მითქვამს და კიდევაც გეუბნებით:
რაცუნდ გაგჭირდეთ — ფიცი არ მისცეთ ავსტრიას. თქვენ
სიმტყიცეს და ერთგულებას ნუ უღალატებთ: იყავით, რო-
გორც აქამდის ჰყოფილხართ. ახლა კი მშვიდობით! უფალმა
მოგიმართოსთ ხელი ყველა საქმეში.

(გრძნობით ხელს გამოართმევს და წასვლას დააპირებს.)

შტაუფახერი.

აქა ბძანდებოდე, მეგობარო, ესლავ ჩემი ღედაყაც

ზომიერა. ერთი მეც მინდა გაგიმასპინძლოდეთ, როგორც თქვენ გამიმასპინძლებით ხოლმე ლუცერნში.

ე. ფ. უ. რ. ს. ტ. ი.

არა გეთაყვა, გმადლობთ. დღესვე უთუოთ გერზაუში უნდა მივიღე. — ამასაცა გთხოვთ, რომ, რამდენიც შეიძლოს, მოუთმინეთ ჩვენ სისხლის მსმელ მთავარ მმართველს. შექველია, დროება გამოიცვლება, — სულყოფილების ხომ ამგვარი იმპერატორი არ გვეყოლება? მაგრამ თუ ავსტრიას დემონებით — საუკუნოდ ყმად გაგიხდისთ. (მიღის. შტაუფახერი დაჯდება ცაცხვის ქვეშ სკამზედ და ჩაფიქრდება. მოვა ამის ცოლი გერტრუდა, მოუჯდება გვერდით და მღუმარებით შესცქერის რამდენიმე ხანი).

გერტრუდა.

ეგრე რას დაჰლონებულხარ? შენ გენაცვალოს ჩემი თავი. რა დაგმართვია — არ იტყვი? მე დიდი ხანია გატყობ: გულისგან რაღაცა გაწევს, რაღაცა დარდები გაწუხებს; არ ეტყვი შენთვის თავი გადაუღულოს რაზედ სწუხარ ეგრე? თქვი შენი კენესამე, მეც მინაწილე შენი ნაღველი. (შტაუფახერი მღუმარებით ხელს გამოართმევს). ერთი მითხარ ეგრე რამ გეცვალა შენი გუნება? მადლობა უფალს, ჯერ არც ერთს შენს ამაგს ფუჭად არ ჩაუვლია: ცხვრის ფარები და ცხენის ჯოგები მთიდან უკლებლად მოგირცხეს. თუ სახლს ვიტყვით-და — ისე მშვენიერად არის ამენებული და ისეთი მასალი-სგან, რომ თვით ციხე-დარბაზსაც არ დაუფარდება; ღმერთმანის, ფარჯრები სარკესავით არ უბჟყვინავენ? ამას რომ კედლებზედ ნაწერებიც ჰქონათ, რომელსაც ისე არ გაივლის ვინმე, რომ არ წაიკითხოს და არ გაჰვირდეს იმის აზრს —

ეს სულ ყველაფერი მგონი საქმაოა, რომ ვგრე ღრ მოიწყინო.

შ ტ ა უ ფ ა ხ ე რ ი.

ჩემი სახლი შშენიერიც არის და ციხე-დარბაზსაც არ დაუყარდება, მაგრამ, ვაი უბედურებას! საძირკველი ვერა აქვს მკიდრი.

გ ე რ ტ რ უ ლ ა.

მე სულ ვერა გავიგერა მაგ სიტყვებიდან, ჩემო თვალის ჩინო!

შ ტ ა უ ფ ა ხ.

ამის წინათ ვიჯექი ამ ცაცხვის ქვეშ და სიამოვნებით შევცქეროდი ჩემ ახალ სახლს. ამ დროს, ენაზე, მოაქენებს კუსნახტიდამ ლანდფოხტი თავის მცველებით და დაინახავს თუ არა ჩემ სახლს, — მაშინათვე შეღგება და გოცვლით დაუწყებს ყურებას. მე დაეინახე თუ არა — მარდათ წამოვდექ და პატივის ცემით მივახლოვდი, როგორც ჩემი ქვეყნის მბძანებელს. — ეს სახლია, თუ სხვა რამეო, მცბიერებით მკითხა, თითქოს ვერა ჰხედავდა რა იყო. მე მაშინვე უპასუხე: სახლი გახლავსთ, ჩემო ბატონო, და ეყუთენის ხელმწიფეს და თქვენ შეთქი, მე კი იჯარიოთა მაქვს აღებულის მეთქი. იმან დააყოლა: შე, როგორც ამ ქვეყნის მბძანებელი, ჩემ დაუკითხავად არ აგაშენებინებთ გლეხებს ამისთანა სახლებსაო; თქვენ რაღასაც ჰბატონობთო! აბა მიყურეთ, როგორ ამოვჭახენა თქვენში თავისუფლებო! — ეს თქო თუ არა, მრისხანეთ გაქუსლა ცხენი და წავიდა. შემომეხევა დარღები და ეფიქრობ იმის ბოროტის მომასწავებელ სიტყვებზედ.

გ ე რ ტ რ.

დამაცალე, შენ გენაცვალე, რა გითხრა. — მაშა ჩემი იზბე-

რგი გათქმული კაცი იყო, იქნება მეც მოშდევდეს რამე იმი-
სი. — როდესაც მე და ჩემი დები ვისხედით ხოლმე და ვარ-
თავდით სალამ-სალამოთი, მამა ჩემთან შეიკრებოდნენ ხოლმე
სახლთ-ხუცესები, დაიწყებდნენ სახელმწიფო წერილების კით-
ხვას და შევიდოდნენ ხოლმე რჩევაში, თუ რა არგებდა
ჩვენს ქვეყანას. მე ყოველთვის გულ მოდგინებით ვისმენდი
იმათ ლაპარაკს და სხვა რჩევას. ესლა ყური მიგდე რა გი-
თხრა: მე დიდი ხანია შეგამცნიე — რაღაცა გაწევს გულზედ,
ჩემო თვალის სინათლეც, შენ მთავარ მმართველი ჩამოგმტე-
რებიო, მგონი? იცო რისთვის? იმისთვის, რომ შენ უწინამდ-
ღერე შეიცს, როცა ის თავის ძველი ჩვეულებისთვის და
უფლებისთვის აუღდა ჩვენს შემავიწროებელს. მარხალს არ
გეუბნები, ჩემო ვერნერ? ესე არ არის?

შტაუფახ.

სწორედ, მაგაზედ მომიძულა.

გ ე რ ტ რ უ ლ ა.

უთუოდ ჰჰურს, რომ შენ შენი თავის უფალი ხარ და
საკუთარი საცხოვრებელი გაქვს; მეფეს მოუცია შენთვის
ეს ალაგი და ხარ ბატონი, როგორც თითონ ის თავის
საბჭანებელში: მეფის მეტი ბატონი შენ არავინა გყავს.
ეგვი, იმის ხელქვეითი, მიშველი მოუტრავი ბძანდება: ერთი
სარაინდო ქურკის მეტი არა ჰრგებია რა მაგას სამკვიდრო-
ში. მაშ არ დაიშურებს სხვის ბედნიერებას? უნდა თავის გე-
სლით დაჰშხამოს ყველა! ახლა შენი დაღუპაც მოუწადინებია.
მაგრამ გულობელ ღაქრებილი ხომ არ მოუცდი, რომ იმ
სულის შტერმა შენზედაც ამოიყაროს ჯავრი? არა, გონიე-
რი კაცი ეცდება როგორმე აიცილინოს საფთხე!...

შ ტ ა უ ფ ა ხ ე რ ი.

ახლა რაგენა, ღმერთმანიცის?

გერტრუდა.

მე აი რას გირჩევ: ეს ხომ მენც იცო რაწაირად სძულს კანტონს ლანდფოხტი თავის წუწკობით და სიბოროტით; ეხლა, მერწმუნე, უნტერვალდენშიაც და ურშიაც საკმაოდ იბოვებიან მაგის სიხლის მსმელნი. რაც აქ გესლერია, ის ტბას იქით ლანდერბერგია: რამდენი ნაეიც კი გამოვა ჩვენ-კენ, იმდენი ახალი და ახალი ამბები მოდის ლანდფოხტისაგან ხალხის შევიწროებაზედ და აკლებაზედ. ამაზედ უკეთესი არაფერი იქნებოდა ეხლა, რომ რამდენსამე გამოცდილ კაცს მოგეყარათ თავი ერთად და მოგელაპარაყნათ თუ რა ხსნა და შეეღო ჰქონდეს ჩვენებს ლანდფოხტისგან. ჰე იმედი მაქვს ღმერთიც შეგეწევათ თქვენი სიბალ-მართლით. არა ეინა გყავს ურში კაი ერთგული ძმა კაცი, რომ სიტყვა ანდო?

შ ტ ა უ ფ ა ხ.

მე ბერს კაი გვარეულობას ვიცნობ იქ, კარგის მისაღწევით, შემძლებელებს, სახლკარიანებს; ძალიანაც ვეყვარ მიღებული და სიყვარულიცა აქვს ჩემი. მე შემძლიან ყოველთვის ვანდო იმათ სიტყვა. (დგება). ქალო! ქალო! საშინელება მოახდინე ეხლა ჩემს ბუნებაში!.. გული აღარ მისვენებს... დაძინებული ფიქრები სულ აძფუტყნე ჩემ თავში. თითქოს ჰეშინოდა აქამდის ამ საქმეზედ ლაპარაკი. მაგრამ ერთ რამეს კიდევ გკითხავ: ეს შენი რჩევა მოფიქრებული გაქვს წინათვე? — იცოდვ: ხმლის ტრიალს ასტეხ ჩვენ სამშობლო ქვეყანაში? ჩვენ — უბრლო მწყემსებს — სად შე-

გვიძლიან შევებათ ქვეყნის მბძანებელს კაცს! დაშიჯერე, იშაო
შეტი არაფერი უნდათ, ოღონდ მიზეზი რაში იპოვნონ — დაე-
ცნენ ჩვენ ყოფა-ცხოვრებას და დაელასავით აგვიცლონ.

გერტრუდა.

ნუ გეშინიანთ, არც თქვენ დაუეარდებით თოფ-იარაღის
ხმარებაში. თუ ისინი ღონით არიან ძალიანები, თქვენ ხერხით
აჯობებთ: ნათქვამია: ხერხი სჯობია ღონესაო.

შტაუფახ.

ქალო! ოში სეშინელება; ტყვია და რკინა კიბზედ უა-
რესია: — არ დაინდობს არც საქონელს და არც პატრონს.

გერტრუდა.

ღვთის სასჯელი აიტანება და კაცისაგან შეწყუხება კი
არაოდეს.

შტაუფახ.

ქალო! შენ თავ გადაკლული ხარ შენი ახალი სამშობ-
ლოსთვის, მაგრამ ომი სულ აანაცრებს!

გერტრუდა.

ახ, ნეტავი არ იქნება თავ გადაკლული ვიყო ჩემი ქვეყ-
ნისთვის: ჩემი ხელით ცეცხლს შოუკიდებდი!

შტაუფახ.

შე კიდევ ამას გეტყვი, რომ ამოდებული ხმალი ძუძუ-
თა ყმაწვილსაც არ დაინდობს.

გერტრუდა.

უმანუოს ზეციერი მადლი დაიფარავს; შენ საქმის ბო-
ლო გასინჯე!

შტაუფ.

შე თავი შემიწირავს ჩემი მამულისთვის: თუნდ ღვებ

მოკვდეს, თუნდ სვალ; მაგრამ შენ, შენ რა გეშველება?

გერტრუდა.

ჩემისთანასაკა აქვს შველა: მთები და წყლები მრავალი არის ჩვენს ქვეყანაში.

მ ტ ა უ ფ. (მოხევევა).

ოხ, რა გული გაქვს! შენ, მგონი, თავს გადასდები შენი სახლკარისთვის. შენ დაგიჯერებია გული, რომ კაი სიკვდილი ცუდ სიცოცხლეს უკეთესია... მამ მე ამ საათში ურისკენ გაუტყე. იმედო მაქვს ჩემი მოკეთე — ვალტერ ფურსტო ყველაფერში დამთანხმდება. ამასთან ენახავ ატტინგაუზენის ბარონს; თუმცა დიდი ჩამომავლობის კაცია, მაგრამ მაინც ხალხი უყვარს, და დროს კიდეც წავსარჩლება მე ორივესთან მოვილაპარაკებ თუ რა უშველოთ ჩვენს თავს, რა მოვახერხოთ ჩვენი ქვეყნის გამოსახსნელად. მშვიდობით! მინამ მოგბრუნდებოდეს სახლკარს კარგად უგდეს ყური: ყველა გაჭირებულს ხელი გაუმართე; მგზავრი, ან ბერი, ეკლესიისთვის გამგზავრებული, ყველა შეიწყნარე, ჩვეულებისამებრ; ჩემი სახელი არ დაიმცროს, ურიგოება არა მოხდესრა, მა-რა გზავდა დგას — ყველა მგზავრს უნდა პატავი ეცეს.

(ეს როჰ უნდა წივიდეს, ამდროს შედიან ეილჰელმ ტელლი და ბაუმგარტენი).

ე. ტ ე ლ ლ ი (ბაუმგარტენს).

ესლა მე აღარას გარგივარ. ემაგ სახლს მიჰმართე (უჩენებს) მანდ სცხოვრებს ერთი ღეთის მოყვარე კაცი — შტაუფახერი.... აჯერ თითონაც! მომყევ — მივიდეთ.

(მიდიან. სურათი იცვლება).

გამოსვლა შესაშვ.

აღტდორფის გაშლილი აღაგბ.

სცენის სიღრმეში, მალლობზედ აშენებენ ციხეს, რომლის უკანა მხარე თითქმის გათავებულია, ხოლო წინა მხარეზედ ჯერ კიდევ ხარაჩო დგას და ზედ მუშები დადიან; ზევით ბანს ჰხურავენ. გაცხარებული მუშაობა მიდის.

ზედამხედველი, კალატოზი, იმის ქარგრები და შეგირდები.

ზედამხედ. (ჯოხით თავს აღგას მუშებს).

მარდათ ჰაი ნუ იზღაზნებით, ქვა ზიდეთ! აბა, ყოჩაღათ ჰაი თქვენ მანდ კირი კარგათ აურიეთ, აქეთ იქით ნუ იყურებით — მარდათ! რომ მთავარ მმართველმა ნახოს საქმე წინ წასული. შეხედე როგორ დაიზღაზნებიან, ეშმაკის შვილები! (მიუბრუნდება ორ მუშას, რომელთაც ჯინით ქვა მიაქვსთ). განა ეგრე მუშაობენ? მოუმატეთ კიდევ! წელი არ გოგწყდებათ...თქვენ თვალი მოგარიდოსთ კაცმა, თორემ...ფეხებზედ გკიდიათ!..

პირველი შეგ.

სწორე გინდა — ამ სახლის ამენება ძალიან არ გეიხარიათ: ჩვენვე დაგვატუესალებენ, შვილო, რა!..

ზედამხედ.

მანდ რას დუღუნებ? წყეულებს უყურო!...ძროხების წველისა და მთებზედ ხეტების მეტი შნო ღმერთს არ მოუცია ამათების!..

მოხუცი მუშა.

ჰარაქათი აღარა მაქვს..(დაჯდება).

ზ ე ღ ა მ ხ ე ღ. (შუგლუგუნებით).

ბებრუტუნაე! შეშოაბა ღაგაეწყდა? აღე ზეხე!

პ ი რ ე. შ ე გ ი რ დ ი.

კაცი არა ხარ, შე დალოცვილო, განა ვერ ჰხედავ სი-
ბერით ფეხები ძლივს დააქვს საწყალს.

კ ა ლ ა ტ ო ზ ი და შ ე გ ი რ დ ე ბ ი.

ულმერთობას ნუ სჩადი, ღმერთისა შინც გვწინოლეს...

ზ ე ღ ა მ ხ ე ღ.

ხმა ჩაიწყვიტეთ, ჰარამზადებო! რასაც მიბძანებენ — იმას
გასრულებ.

შ ე ო რ ე შ ე გ ი რ.

ზეღამხედველო, რას დაარქმევთ, ამ რაღაც ვერანა სო-
ტუსაღოს რომ ამენებთ?

ზ ე ღ ა მ ხ ე ღ.

ამას ერქმევა: ურის უღელი. სწორედ ეს უღელი მოგ-
ხრისთ წელში, ჩემო შეგობარნო.

შ ე გ ი რ დ ი.

რაო? ურის უღელი! ხა! ხა! ხა!...

ზ ე ღ ა მ ხ ე ღ.

აჲ სასაცილო რა არის, შითომ?

შ ე ო რ ე შ ე გ ი რ.

ბეჩა, ამ პაწაწა რაღაცათი გინდათ მთელი ური მოჰხაროთ
წელში?

პ ი რ ე ვ ე ლ ი შ ე გ.

ენახავ როგორ მოგიხდებათ ურის წელში მოხრა
და რამდენს ამისთანა სახლებს ააშენებთ კიდევ. (ზეღამხედვე-
ლი სცენას შუა გულში შევა).

კალატოზი.

თავი არ მომიყვდება, ამ ჩემ ჩაქუჩს იმ ტბაში უძახებ. აბა შეეინახამ და იმ იარაღს, რომელსაც ამ სახლის აშენებში ეხმარობდი!

(შემოდინა ტელი და შტაუფანერი).

შტაუფ.

ოჰ, სიკედილო! შენ მაინც სადა ხარ? ეს შენობაც ნახე ჩემმა თვალებმა!

ტელი.

იქით წავიდეთ, — აქ როგორღაც საეჭვო ალაგია.

შტაუფ.

ნუ თუ ეს არის ური? თავისუფალი ქვეყანა?

კალატოზი.

თქვენ უნდა ჰქანხოთ, ბატონო, კოშკებ ქვეშ რა სარდაფები დაატანეს! სწორე მოგახსენოთ, იმ სარდაფების მდგომარეობა ძველადღა გაიგონებს მამლის ყივილს.

შტაუფ.

ოხ, ზეციერო გამჩენო!

კალატოზი.

ერთი შეხედვით თაღებს: თითქოს საუყუნებთან უნდა აბრძოლონო.

ტელი.

ჩემო ძამიავ, რაც ხელით არის აშენებული — ხელითვე დაიკცევა. (მთებზედ ხელს მიუშვერს). აგერ ჩვენი თავისუფლების სადგური; თითონ ღმერთს აუშენებია ჩვენთვის.

(ისმის დაღობანდის ბრახბარები; რამდენიმე კაცს

მოაქვს ჯოჯხედ ჩამოცმული ქული; ამათ მო-
სდევს გზირი (მაუწყებელი). სცენა ივსება
დედაყაყებით და ყმაწვილებით).

პირველი შეგირდი.

რა ამბავია? ეს რათ უცრუნ თოლს?

მეორე შეგირდი.

არაქა ბიჭო! ეს რა ამბავია! ქული აბეღად გაუხდიათ!
გზირი.

კოროლის სახელისთვის — გამიგონეთ!

შეგირდები.

ჩხუ, დაჩუმდით... ყური დაუგდოთ!

გზირი.

ურის მოქალაქეო! აი ეს ჯოჯი ამ ქულით უნდა აი-
მართოს ალტდორფის მოენდაზნდ; ამასთან მთავარ მმართვე-
ბელი ამ გვარ ბძანებას გაძღვესთ: უნდა ყველამ აშქუდს
მისცეთ ისეთი პატივის ცემა, როგორსაც თითონ იმას
აძლევთ: ყველამ უნდა ამ ქულის წინ თავშამეფლამ მოიდ-
რეოთ მუხლი. ამით მეფეს ჰსურს შეიტყოს თავის მტერი
და მოყვარე. ესეც უნდა იცოდეთ, რომ, ვინც არ ასრუ-
ლებს ამ ბძანებას, იმას წაერთმევა კონებაც და თავის-
უფლებაც.

(ხალხი ხმა მალლა იცინის; დოღს აბრაზუნებენ; ხალხი
დააშლება).

პირვე. შეგირდი.

ჰხედავთ, კიდევ რა მოუგონია ჩვენ მთავარ მმართველს?!
იმის ქულს უნდა თავყენი ვცეთ?! ამ გვარი რამე გაგონილა
სადმე, თქვენი ჭირიმი!

კ ა ლ ა ტ ო ზ ი.

მზხლი უნდა მოვიყარო ქულის წინ! ჩემ სალოცავს შეუშლია, თუ რა დაჰმართვია? ასე ჰგონია პატარა ბოგმეები ვიყვნეთ....

პ ი რ ვ ე ლ ი შ ე გ ი რ.

მეფის გვირგვინი იყოს — კადეც ხო, თუ არა, უბრალო ქულზედ ლოცვა ვის გაუგონია?

შ ე გ ი რ დ ე ბ ი.

ეგ არის ავასრულეთ ბძანება რაღა! ჰაი შეშალოს ჩემმა სალოცავმა!!

კ ა ლ ა ტ ო ზ ი.

აბა წავიდეთ რჩევა ვკითხოთ ვისმე. (მიდიან სცენის სი-
ღრმეში).

ტ ე ლ ლ ი (შტაუფახერს).

ახლა კი თქვენ იცით. მშვიდობით, ეერწერო!

შ ტ ა უ ფ ა ხ ე რ ი.

შენ სადღა მიხვალ? თუ ღმერთი გწამს, ცოტაც მოიცადე.

ტ ე ლ ლ ი.

არა, გეთაყვა, არ შემიძლიან. შინ უნდა წავიდე უთუ-
ოდ. მშვიდობით!

შ ტ ა უ ფ ა ხ ე რ ი.

ნეტა იცოდეს გულზე რამდენი რამ მაწევს! — არა, ძმაო,
შინდა ერთი გელაპარაკო.

ტ ე ლ ლ ი.

რასა აქ? გულის დარდებს მითომ ლაპარაკით შეისუმბუქებ?

შ ტ ა უ ფ ა ხ ე რ ი.

არა, ძმაო, ლაპარაკი საკმევსთან მიგვიყვანს.

ტ ე ლ ლ ი.

ჩვენი საქმე — მოთმინება და ჩუმათ ყოფნაა.

შ ტ ა უ ფ ა ხ.

რას მეუბნები? ნუთუ უნდა მოვითმინოთ, რის მოთმე-
მენაც არ შეიძლება?

ტ ე ლ ლ ი.

მამ რასა იქ? ნუ დაივიწყებ, რომ ხანგრძლივი არ იქნება
ჩვენი შევიწროება; იცოდე, ეს ჩვენი უბედურება ჰგავს ქა-
რაშხალს, რომელიც, თუმცა შეაშინებს და შეაძრწუნებს
ყოველ ზღვაში გემებს, მაგრამ სწრაფად გადუვლის ხოლმე
უვნებელად. ყველამ უნდა თავისთვის მშვიდობიანად იც-
ხოვროს და, ალბად, მშვიდობიანისთვის მშვიდობას არავინ
დაიშურებს.

შ ტ ა უ ფ ა ხ.

მითომ!

ტ ე ლ ლ ი.

ხო! გაგიგონია: გველს ხელს ნუ ახლებო და არც ის
დაგშახმავსო. დაშაჯერე: თითონ დამშვიდდებიან, როცა ნა-
ხავენ, რომ ჩვენ ყველანი მშვიდათ ვიქნებით.

შ ტ ა უ ფ ა ხ.

თუ შევერთდებოდით — მე ბიჩვენებდი რა საქმეს შეგ-
ეძლო!

ტ ე ლ ლ ი.

ლეღვაში მარტოობა სჯობია.

შ ტ ა უ ფ ა ხ.

შენ, როგორც გატყობ, ცივად ევიდები საზოგადო-
საქმეს.

ტ ე ლ ლ ი.

ყველას თავის თავის იმედი უნდა ჰქონდეს.

შ ტ ა უ ფ ა ხ.

განა არ იცი — შეგავშირებული ლაჩრებიც კი ღონიერები არიან.

ტ ე ლ ლ ი.

მაგრამ ღონიერა მარტოც ღონიერია.

შ ტ ა უ ფ ა ხ.

მამ, მამული რომ აუღდეს თავის მტერს — შენგან შეგლის იმედი ნუ ექნება?

ტ ე ლ ლ ი (ხელს აძლევს).

ტელლი საფთხიდვან ბატკანსაც ისხნის ხოლმე და გაქირებაში მეგობრებს ვერ უშველის! მაგრამ ერთსა ვთხოვთ: ნუ რა რჩევას ნუ მკითხავთ, — მე სიტყვით ვერ შეგვეწყვიტო, მაგრამ, თუ დაგჭირდებათ ჩემი ხელები — ერთი კი თქვით და მაშინ მე ვიცი, როგორც მოგვხმარებით. (განშორდებიან ერთმანეთს, ხარაჩოზედ უეცრივ დაიყვირებენ).

კ ა ლ ა ტ ო ზ ი მოირბენს.

რა ამბავია? რა არის?

პირველი შეგირ.

რაღა რა არის? ბანისდამხურავი ჩამოვარდა და, მგონი, სულაც აღარ შერჩა უბედურს!

(ბერტა შემოირბენს თავის მცველებით).

დაიჩხება?... უშველეთ, თუ ღმერთი გწამსთ! აჰათ ფულები, ოღონდ კი უშველეთ რამე. (გადაუგდებს განიქს).

კ ა ლ ა ტ ო ზ ი.

ყველგან ფულები იძახეთ! თქვენთვის ყველაფერი ისე-

ღება: საწყალ ბავშვებს მამას წაართმევთ, ცოლს — ქმარსა და შერე იძახით: აჰა ფულებიო! მადლობა თქვენს სიკეთეს! მი-
თომ კაცა გაგაცოცხლებიათ! სწორე მოგახსენო: თქვენი
მოსვლამდის დარღები ცოტა მოშვეულო გვეკონდა გული-
დამ, ახლა მოხვლით — და ჩვენი ვაება სულ თვალ წინ
წარმოგვიდგა.

ბერტა (ზედამხედველს რომელიც მოახლოვდა).

ცოცხალია? (ზედამხედველი ანიშნებს რომ არა). ოჰ,
კვდებო! წყევითა ხარო აშენებულნი და ვერც იხეირებთ!
(მიდის).

გამოსვლა მეოთხე.

სადგომი ვალტერ ფურსტისა.

ვალტერ ფურსტი და არწოლდ მელხტალი შემო-
დიან სხვა და სხვა მხარიდან.

მელხტალი.

აჰ! ვალტერ ფურსტს ვახლოვარ?

ვალტ. ფურსტი.

მანდ იყავ, არ მოგვასწრონ, თორემ მპიონები გარს გვა-
ხვევია.

მელხტალი.

ამბავი ხომ არა მოსულარა უნტერვალდენილამ? რას
შერება მამა ჩემი? ოხ! მომწყინდა ამდენს ხნის ტუჩალო-
ბა. ანკი რა დავაშავე იმისთანა, რომ ყველას ვემაღები,
როგორც კაცის მკვლელი? თითი მოვტეხე, სხვა ხომ არა
დამიშავებია რა? რა გქნა, რას შემართლებოდა, რად გაირე-

კა ჩემ თვალ წინ ჩემი ხარები?

ე. ფ უ რ ს ტ ი.

თითონ შენი ბრალია, რათა სცხარობდი? არ იცოდი, რომ მთავარ მმართველის გამოგზავნილი იყო, ლანდფოხტისა? ასლა რაც მოგივოდა -- უნდა აიტანო, რას გააწყობ, ძმაო? მეტი ღონე რომ არა გაქვს....

მ ე ლ ხ ტ ა ლ ი.

ნეტა როგორ მომეთმინა იმ უმხგავსოს ლაპარაკი: ეისაც პურის ჭამა გინდათ -- გუთანსაც თითონ უნდა ეწიოთ; ასე მეგონა გულში დანა დამტრიალეს მეტეკი, როდესაც დაუწყო ხარებს გუთნიდამ გამოძევება, ხარებმაც თითქოს იცნეს ჩემი მტერი -- დაიწყეს ყრუდ ბღავილი და რქების ქნევა. მეც ამჟელ ამიდულღა გული, ვეღარ შევიმაგრე თავი და გაცხარებულმა დაუწყე ჯოხით ცემა.

ე. ფ უ რ ს ტ ი.

შენ რა გაგამტყუნო? ჩვენ რომ ევრ შეგვიმაგრებია თავი, აბა ყმაწველ კაცს რაღა ჭეთქმის?

მ ე ხ ტ ა ლ ი.

მაშა ჩემი მენანება, თორემ მე კიდევ რაც მომივიდა -- მომივიდა. იმას იქ შემწე არავინა ჰყავს -- მეც აქა ვარ ტყუილად; ამასთან ლანდფოხტსაცა სძულს ის უბედური, რადგან მტდამ თავსუფლების მოყვარეა. რაღა თქმა უნდა, რომ ეხლა ძალიან შეავიწროებს ბედურულს, -- აბა ვიღას დაერიდება? არა, რაც უნდ მომივიდეს, უთუოდ წავალ მივემეღებო მოხუცებულს.

ე. ფ უ რ ს ტ ი.

ერთხელ ხომ გაენო აჩქარებამ, მეორედ უარესი მოგივა.

ცოტაც მოთმინე, საქმე ჯერ არ გაუუჭებულა; იქნება ამბავიც მოგივიდეს რამე იქიდან... აცა!.. ვინ არახუნებს კარებს? ნუ თუ ლანდფოხტის გამოგზავნილია ვინმე?.. დამალე ჩქარა, არ გეგოხოს, რომ ურში უფრო ცოტა სიფთხილეა საჭირო; ლანდერბერგი უკეთესი ნუ გეგონება: ჩვენი შემავიწროებელი ერთმანერთს ჰბადვენ და ერთმანერთს შევლიან, ხომ იცი?

მ ე ლ ხ ტ ა ლ ი.

მამ ჩვენ რაღას ეუყურებთ? ჩვენც ვუშველოთ ერთმანერთს.

ე. ფ უ რ ს ტ ი.

წადი, წადი! მერე ვილაპარაკოთ. (მელხტალი გავა). საბრალო! არ ეცა, ღმერთმანიცის, როგორ გამოუცხადო, რაც ეჭვი ამიღია?.. ვინ უნდა არახუნებდეს? რა უბედურებაა? დაიჭკუნებს თუ არა ეს კარები — მაშინვე შგონია უბედურება შეწვია შეთქა; საათაც არ მივიხედავ — ყველგან ღალატობა, ყველგან ძალადობა — მთელი ხალხი ამხედ ჩივის. შგონი ჩვენ კარებებს ჩქარა მოუნდეს მსხვილი რკინის ურდული.. (გააღებს კარებს დავ, დაინახავს თუ არა ეერწერ მტაუფახერს, გაცივრებული დაიწევს უკან). ვისა ვხედავ? ეერწერო! თქვენა ბრძანდებით? ჩემო ძვირფასო, პატივცემულო სტუმარო! დიდი ხანია თქვენზედ უკეთესი კაცი არა მწევია. ძალიან მოხარული ვარ, მაგრამ რამ მოგიყვანათ ამ დროს?

შატაუფახ. (ხელს გამოართმევს).

შვეიცარიას დავეძებ, ძველ დროებას დავეძებ....

ე. ფ უ რ ს ტ ი.

ორივენი თქვენ დაგდვენ. — ჩემ გულს თქვენი ნახვის შეტი

შეება არ უნდა. დაბძანდით, გეთაყვანე, ვერწერო. ერთი მიბძანეთ, რასა იქს თქვენი ჰქვიანი მეუღლე, გონიერი იზბერგის ასული? ყველა მოგზაურნი, ვინც კი იტალიას მიდიან და გაუვლიათ თქვენი სახლისკენ, ისე აქებენ თქვენ სტუმრის მოყვარე სახლს, რომ მეტი არ შეიძლება... თქვენ ესლა მგონი ფლუტენიდანა ხართ? ერთი მითხარით, ხომ არა გინახეთრა გზაზედ, ჩვენ მჭრამი რომ გადმოხვედით?

მ ტ ა უ ფ ა ხ ე რ ი (ჯდება).

როგორ არა, ერთი დიდი შენობა ენახე, მაგრამ ვერ გაუძელ იმის ყურებას....

ვ ა ლ. ფ უ რ ს ტ ი.

ჰო, მეგობარო; უეჭველია, რაწამს შეხვდეთ, მაშინვე მიხვდით, რაც იყო.

შ ტ ა უ ფ ა ხ.

ჯერ აქამდის არავის გაუგონია ურში ამ დინიშნულების სახლი. აბა ვის უნახავს სატუსადოები? ამ დრომდის მხოლოდ საფლავი იყო ჩვენი სატუსადო.

ვ. ფ უ რ ს ტ ი.

მითომ ეს კი საფლავი არ არის — თავისუფლებისა?

შ ტ ა უ ფ ა ხ.

არა, ვალტერ ფურსტო, არ დაგიმაღაფთ, რომ მე თქვენთან უსაქმოდ არ მოცხულვარ; ძალიან მაწუხებს დარდები. რა უბედურებაა! შინ დაეტოვე შევიწროება, აქ მოველ და აქაც კი უყეთესს არას ვხედავ! რამდენი უნდა მოვითმინოთ კიდევ? ბულო კი აღარა აქვს და! შევიცარიელი ყოველთვის თავისუფალი იყო, მშვიდობიანობის მეტი არა იცოდარა. რაც ჩვენ მამა პაპას მთები გაუცენია — განა გაუგია

ოდესმე, თუ შევიწროება რას ერქო?

ვ. ფ უ რ ს ტ ი.

დიახ, გასაოცარი თავისუფლება ჰქონიათ! თითონ კეთილშობილი ატტინგაუზენიც კი — იმას კარგათ ახსოვს უწინდელი დროების თავისუფლება — თითონ ისიც კი ამბობს, რომ ეს უღელი ძნელი მოსათმენია.

შ ტ ა უ ფ ა ხ ე რ ი.

უნტერვალდენშიაც ეს ამბავია. იქაც დიდი ხანი არ არის როსბერგის მოადგილემ, ბოლფენიშენმა, მოისურვა აკრძალული ხილის გემოვნება და ალცენში ბაუმგარტენის ცოლს მიჰმართა. მაგრამ, ოღოლო იმას! ვერ მოასწრო: ბაუმგარტენმა იქამდის აღარ დააცალა, იქვე ანდერძი აუგო ხანჯლით!..

ვ. ფ უ რ ს ტ ი.

ოხ, მართლმსაჯულო უფალო! მერე ბაუმგარტენი, ერთი ზითხარით: გაიქცა სადმე? დაიშალა?

შ ტ ა უ ფ ა ხ ე რ ი.

თქვენმა სიძემ ტბით მოიყვანა ჩემთან და ეხლაც იდუმალ ჩემთანა სცხოვრობს. მაგრამ ეს ყოველიფერი როგორ შეედარება იმას, რასაც ის მელაპარაკა ერთ სარნენში მომხდარ საქმეზედ. სწორე მოგახსენოთ, იმის გამგონეს ყველას გული მოუყვდება.

ვ. ფ უ რ ს ტ ი (ყურადღებით).

ერთი მიზანეთ გეთაყვა რა საქმეა ეგ?

შ ტ ა უ ფ ა ხ.

აი ბატონო: იმათკენ, მელხტალში სცხოვრებს თურმე, კერნის ახლოს, ვინმე გენრიხ გალდენი, მართალი კაცი

და, თურმე, პატივცემული გარემემო მოსახლეთაგან....

ე. ფ უ რ ს ტ ი.

ეინ არ იცნობს? მერე, რა მოჰხდენია გალდენს?

შ ტ ა უ ფ ა ზ.

უბრალო დანაშაულობაზედ ლანდერბერგს ებრძანებინა გენრიხის შვილის გუთნიდამ ორი ხარის გამოშვება, ამჟედ, გულზედ მოსულს ყმაწვილ კაცს, როგორც მოგეხსენებათ, ეცემა იმ კაცისთვის და გაქცეულიყო სადღაც....

ე. ფ უ რ ს ტ ი.

მამა, მამა რაღას იქ? ერთი მითხარით, თუ ღმერთი გწამსთ!

შ ტ ა უ ფ ა ზ.

მამა დაიბარა თურმე მთავარ მმართველმა და უბძანა: შვილი გამოაჩინეო. მოხუცი თურმე ეფიცებოდა არ ეიცო სად არისო, გაიქცაო. აბა თუ არ იციო და — ებძანებინა ჯალათს დაუძახეთო....

ე. ფ უ რ ს ტ ი (წაჰოხტება, რომ იქით წაიყვანოს).

წყნარად, თუ ღმერთი გწამს!

შ ტ ა უ ფ. (უფრო ხმამაღლა).

თუ შენი შვილი წამივიდა ხელიდგან, შენ ხომ ვეღარ სად წამიხვალო, და თავის თვალ წინ დააგდებინა თურმე მიწაზედ და დანით ორივე თვალები ამოათხრევინა!!

ე. ფ უ რ ს ტ ი.

ოხ! ზენაე!

მ ე ლ ს ტ ა ლ ი (შემორბის).

რა სთქვით? თვალები ამოათხრევინა?!

შტაუფახერი (გაცივრებული მიუბრუნდება ვ. ფურსტს).
ვინ არის ეს ყმაწვილი კაცი?

მელხტალი (გამწარებული ეჭიდება).
თვალები ამოათხრევინა? თვალები?

ვ. ფურსტი.

ოხ, შე საბრალო!

შტაუფახ.

ვინ არის? ნუ თუ იმის შვილია? (ვ. ფურსტი თავს დაუქნევს). ეს რა უმცრება მომივიდა! ჰე, ღმერთო მა-
ლალო, დაილოცა შენი სამართალი!...

მელხტალი.

მე სადღა ვიყავ მაშინ, უბედურო მამა ჩემო!

ვ. ფურსტი.

გულიშვიმაგრე, წაღველს ნუ მიეცემი... ვაჟაც ურად მოიქეცი...

მელხტალი.

ჩემთვის, ჩემი დანაშაულისთვის დაჟარგა თვალები! საუ-
კუნოდ მოაკლდა თვალში სინათლე!...

ვ. ფურსტი.

იმის სიყვარულით მაინც შევიმაგრე თავი.

მელხტალი.

არ შემძლიან!... (ხელებს მიიფარებს პირზედ და რამდენიმე ხანი ჩუმად არის, შემდეგ მიუბრუნდება ორივეს და ლაპარაკობს ყრუ ტირილის ხმით). ოხ, თვალის სინათლევ, რა ძვირფასი ნიჭი ხარ! ყველა სულიერი შენით ჰსცხოვრებს და შენით არის ბედნიერი; თვით მცენარეც ეტრფილება სიხარულით მზის შუქს და მამა ჩემი კი ყოველთვის უნდა ჰხედავდეს სიბნელეს, იმისთვის ყოველთვის უნდა ღამე

იყოს!.. განაღა გააჩარებენ იმ უბედურს მწვანედ იყვავებული
ველები! ან დილის გარიჟრაჟს კიდევლა ჰნახავს როდისმე?
ოხ, შე დალოცვილო ღმერთო! სიკვდილი — კიდევ ხო,
მაგრამ რას უნდა ჰგვანდეს საბრალოს სიცოცხლე, როდეს-
საც სინათლის დანახვაც არ შეეძლება. რას მიუტრებთ ეგრე
მონაწილეობით? მე ხომ არა ვარ ბრმა?.. ახ, ნეტა შემგძ-
ლოს ამ თვალებით წახედავი სინათლე მაინც დაუბრუნო!..

შ ტ ა უ ფ ა ხ ე რ ი.

კიდევ ესეც უნდა გითხრა — დეე მწუხარება მოგიმა-
ტოს — მოადგილემ ყოველაფერი წაართო: მამაშენს დარჩა მხო-
ლოდ ერთი ყვარჯენი, ასე რომ უბედურმა მოხუცმა,
ბრმამ და შიშველმა უნდა აქა-იქ იგლახავს.

მელხტალი.

ყვარჯენის მეტი აღარა დარჩა! ყველა წაართვეს და
თვალის სინათლეს, რომელი გლახებსაც არ აკლიათ! მამ
ეხლა ნულარაეინ მეტყვეით დაიმალო. მე უღარსი, მხოლოდ
ჩემი თავისთვის ვფიქრობდა, და შენ კი სულ დამავიწყდი,
უბედურო მამა ჩემო! ეს რა მოუვიდა ჩემს თავს? გირა-
ოდ მიგეც სისხლის მსმელ ტირანს? ახლა კი კმარა! ახლაკი
მაგიერის გადახდას ვეცდები: წავალ პირდაპირ მოადგილე-
სთან და მამიჩემის თვალებს უკანვე მოვიტხოვ, თუ არ
მომცემს, იმის ხელ ქვევითებს იმის თვალ წინ გამოვიჩიქ-
ნი! ეხლა ჩემთვის ყველაფერი ფუჭია, და ანკი რათ მინდა
თავი ცოცხალი, თუ ჩემი უბედურება იმისი ბოროტი სის-
ხლით არ გავიზანე!

(წასვლას აპირებს).

ე. ფურსტი.

მოიცა!.. აბა რას გააწყობ შენ იმასთან? ეხლა ის სარ-
ნენში პ'ტხოვრებს, თავის მაღალ ციხე-დარბაზში, — იქ იმას
ვერ შეამინებს შენი უღონო სიტუაცე.

მელხტალი.

თუ განდ თვით შრეკგორნის გაყინულ წიერზედაც სც-
ხოვრობდეს, ან კიდევ უფრო ზევით — უნგრავის წვერზედ —
გზას უპოვნი მე იმას! ერთი ოციოდე ჩემისთანა ბიჭი და
იმას ჯანი! ერთი ოციოდე ბიჭი თუ ეიშოენე — ჰნახავთ
იმის ცხე-დარბაზს როგორ ძ-რს დაეცემ. თუ ევრავის ეი-
შოვნი და, ან თუ კიდევ თქვენ ყველანი სახლობითა და
სარხო საბადებლით ქვეშ გეეფენებით ჩვენს შემავიწროე-
ბელს, მაშინ წავალ მთებში, დაუძახებ მწყემსებს და იქ, სა-
დაც თავისუფალს სულს არავისი ეშინიან, არც გულს გა-
მოუტლია რამე შევიწროება, — იქ, მეთქი, მწყემსებში, გა-
ვამჟღავნებ ყველა უსამართლოებას, რასაც ჩვენ გვაწევენ
ბოროტის-მოქმედნი.

შტაუფახ. (ე. ფურსტს).

ბოროტება თავს გადმოვიდა, მაგრამ ჯერ კიდევ დაეი-
ცადოთ, და თუ უარესი იქნება....

მელხტალი.

უარესი? რაღა უარესი, ამაზედ უარესი რაღა იქნება?
თვალეხსაც კი აღარ გვარჩენენ! რაღა მოვიცადოთ? ძალიან
უწიმბრობაში ვართ, განა? მაშ რისთვის გვასწავლიდნენ შეი-
ლდისრის ხმარებას, მიზანში სროლას; რად გვინდოდა, რომ
ხმლის ხმარებაზედ იმოღენა დროს გვაკარგვინებდნენ? — პი-
რუტყეებისთვისაც კი მიუტია ღმერთს იარაღი.

აბა შეხედეთ ირემს. ძაღლები რომ მიესვენან, თავის რქებით იგერებს ხოლმე; ან ჯიხვი რომ მონადირეს დაინახავს, თავის ხერხით იმდენს ეცდება კლდეზედ გადმოაგდებს ხოლმე; თითონ ხარი, ხომ ისეთი მორჩილი საქონელია, მაგრამ ისიც კი გაჯავრების დროს თავის მტერს რქებით მალა აისვრის ხოლმე.

ე. ფურსტი.

სამი ჩვენი კანტონიც რომ ჩვენსავით ფაქრობდნენ, მაშინ მგონი შევიძლებდით რასმე.

შ ტ ა უ ფ ა ხ.

ერთი კი დაძახოს ურმა და — ჰნახავთ, რომ შვიციც და უნტერვალდენიც დაემუხრებიან იმასთან შეკავშირებას.

მ ე ლ ხ ტ ა ლ ი.

მე უნტერვალდენში ბევრი ისეთი მეგობრები მყავნან, რომ სიხარულით აუღვებან მტერს, თუ რომ იმედი ექნებათ სხვა კანტონების შემწობისა. — თქვენ, ჩვენი ქვეყნის მეგობარნო, ხუცესნო! მე თუმცა ყმაწვილი ვარ და ვალი მაქვს თქვენ წინ ჩემათ ვიყო; თუმცა ახალგაზდა ვარ წლითაც და გამოცდლებითაც, მაგრამ გევედრებით მოასმინეთ ჩემი ლაპარაკი. ნუ გეგონებათ რომ ახალ გაზდა სისხლი სდუღს ჩემში, — არა, ჩემში უბედურება სდუღს, უბედურება, რომელზედაც იქნება გამხმარ კლდეებსაც კი მოუვადეს ცრემლი. თქვენც, უმჯველია, გსურსთ, რომ თქვენი შვილებიც ისეთი ღირსების პატრონები იყვნენ, რომ არაფრის აპატონ თქვენი გაუპატიურება. მართალია, თქვენი ქონება ჯერ გაუსარცველია და არც თვალები დაუთხრიათ ჯერ თქვენთვის, მაგრამ ისოდეთ ეს უბედურება შეიძლება მალე თქვენც გე-

წვიოსთ, რადგანც თქვენც ჩვენ ქვეყანაში სცხოვრებთ, თქვენ-
შიაც ისეთი სისხლის მსმელი ტირანია, როგორც ჩვენში;
ამასთან გახსოვდეთ: მამაჩემივით თქვენც სცდილობდით,
რომ ავსტრიისათვის უფლება ჩამოგერთმევანათ და უეჭვე-
ლია თქვენც უნდა გემინოდესთ.

შ ტ ა უ ფ ა ხ. (ვალტ. ფურსტს).

გაჰბედეთ — მეც მოგყვებით.

ე. ფურსტი.

მაშ დავეცი თხნეთჯერსელოანის და ატტინგაუზენის მფლო-
ბელეზს; იმათი სახელიც დიდი რამ არის ამ საქმისთვის.

მელხტალი.

რას ბძანებთ? ეისი სახელილა პატივცემული ამ ჩვენ
მთებში, თუ არ თქვენი? ხალხი ყოველთვის პატივის ცემით
გახსენებთ თქვენ და უეჭველია თქვენ უფრო დიდი გავ-
ლენა გექნებათ იმაზედ. თქვენ არ გააერცელეთ ეს ჩვენი მამა
პაპის მამული? მაშ რაღათ გვინდანან ლინდები? ჩვენც
სამყოფნი ვართ; ჩემის ფიქრით, მარტონიც კარგად მოე-
გებთ საქმეს.

შ ტ ა უ ფ ა ხ.

მე დარწმუნებული ვარ: დიდუცებს არ ესმისთ ჩვენი
საქიროება; ეის გაუგია, რომ ხევების რუები მთების წყა-
როებთან ასულიყვნენ. მაგრამ მაინც იმედი მაქვს უარს არ
გვეტყვიან შემწობაზე, თუ ჩვენ ყველანი ერთგულად მო-
ვეიძებით ჩვენ საქმეს.

ე. ფურსტი.

კარგი იქნებოდა, რომ შუამავალი ეინმე გეყოლოდა
მეფესთან, იქნება სამართალი მოეცა. მაგრამ რას იქ?

ჩენი შემავიწროებელი თითონ შემძლებელ კეისარსაც არ დაუფარდება; ჩენი მსაჯულიც ის არის და ჩენი მეფეც; მეტს რას გავაწყობთ? უნდა მხოლოდ მოუწოდოთ მაღალ ღმერთს და ვითხოვოთ იმისგან შემწეობა! — თქვენ მოაგროვებთ შვიცში თქვენი მეგობრები; ურში მე მოვაგროვებ. მაგრამ უნტერვალდენში ვილა გავგზავნოთ?

მ ე ლ ხ ტ ა ლ ი.

მე აქ არა ვარ? სხვას ვის გაჰგზავნით?

ვ. ფ უ რ ს ტ ი.

არა, შენ ვერსად გაგიშვებ; შენ ჩემი სტუმარი ხარ — პასუხის გებაში არ ჩავევარდები.

მ ე ლ ხ ტ ა ლ ი.

არა, გეთაყვა, მე წავალ! მე იქაური ხეცები და ბილიკები არც ერთი არ გამომეპარება, და ისეთ მეგობრებსაც ბევრს ვიპოვნი, რომ დამმალონ მტრის თვალისაგან.

შ ტ ა უ ფ ა ხ.

წავიდეს, ფიქრი არ არის. იქ ამას არაფერ გასცემს: ასე სძულსთ იქაურებს თავიანთ მთავარ მმართველი, რომ ერთ მზვერავსაც ვერ იპოვნის იქ კაცი. ამის გარდა ალცელნციც იქ გავგზავნოთ, იმანაც თავის ამსონები მოგვიგროვოს და ხალხიც ააყენოს.

მ ე ლ ხ ტ ა ლ ი.

ახლა ჩენი ამბავი ერთმანერთს როგორ შევატყობინოთ, რომ ტირანი ვერ მიჰხედეს ჩვენს წადილს?

შ ტ ა უ ფ ა ხ.

ჩვენ შეგვიძლიან შეგხედეთ ერთმანერთს ბრუნენში, ანუ ტრეიბში, სადაც სავაჭრო გემები დადგებიან ხოლმე.

ვ. ფ უ რ ს ტ ი.

ხუჭრობა საქმე არ არის, ამის გააშკარება არ შეიძლება, ჩვენ უნდა დაფარულად ვისაქმოთ. აი ჩემი რჩევა: ტბიდან მარცხნივ ბრუნენის გზა რომ მიდის, იქ დაბურულ ტყეში არის ერთი ველი, რომელსაც მწყემსები რუტლის ეძახიან, ეს ალაფი სწორედ ჩვენი კანტონების მიჯნაა (მიჰხედავს მე-ლხტალს). თქვენ შეგიძლიანთ (მიჰხედავს შტაუფახერს) შეიციდამ პატარა ნავით მოსცურდეთ იმ ალაფას; ჩვენც ღამე მოვალთ იქ დაფარული ბილიკით და — ვითათბიროთ. ამასთან ჩვენ შეგვიძლიან მოვიყენოთ ხოლმე თან ათამდის მეგობარი, და როცა ამ ნაირად შევასრულებთ ჩვენს თათბირს, მაშინ საქმესაც ხელი მივყოთ.

შ ტ ა უ ფ ა ხ.

მე თანახმა ვარ. ახლა, ჩემო მეგობარო, შევეერთოთ ხელები ერთად. როგორც ესლა ჩვენ სამნივ ვლგევართ ხელებით შეკავშირებულნი, ისე შევაკავშიროთ სამივე ჩვენი მაზრა და შეერთებულის ძალით წავართოთ ჩვენს მტერს ტირანს ჩვენი თავისუფლება, ან არა და სულ დავიხრცნეთ! ან თავისუფლება, ან სიკვდილი!

ვ. ფ უ რ ს ტ ი და შ ე ლ ხ ტ ა ლ ი.

ან თავისუფლება, ან სიკვდილი!!.

(ამათ ერთმანეთის ხელები უჭირავსთ და ასე დგანან რამდენიმე ხანი).

შ ე ლ ხ ტ ა ლ ი.

უსინათლო მამა ჩემო! ველარ ჰნახავ განთავისუფლების დღეს, მაგრამ შეიტყობ კი, როგორ ავანთებთ მთებზედ ცეცხლს და ამით შევატყობინებთ მტერზედ დაცემის ღროს;

როგორ დავამხოთ ჩვენ ამაყ შემავიწროებელთ და დავი-
ბრუნებთ ჩვენი მამა პაპის თავისუფლებას! ახ, ნეტარება
იმ დღეს! ისარზედ უჩქარეს მოგივა ამ ბედნიერი დღის
მახარობელი და იქნება მაშინ მაინც იგრძნო სინათლე!..
(დაიშლებიან).

დანარჩენი შემდგომ ნომერში იქნება.

გლახები.

(პლემჩევიდგან).

1

სუნთქვის შეშკერელს სიცხეშია საწყალი
ბოგში მოდის, არც პური აქვს არც წყალი;
ტანთ-სამოსი ტანზედა აქვს შეფცქვნილი,
თვალებიდამ ცრემლი სცვივა მსხვილ-მსხვილი.

ფეხშიშეელი და კანკალით ის მოდის,
ფეხებიდამ შავი სისხლი ჩამოსდის,
ცნელი ოფლი მას შუბლზედ ეკრიფება,
ფაქრობს: გვედები, გულ-ხელი მეკრიფება!

მოძრაობა, მიხერა — მოხერა და სახე
არ უმტკიცებს თუ ჭაბუკია შეახე, —
ჭფარავს ამათ დარდი განუსაზღვრელი:
არც აცვია, არც საღმე აქვს საჭმელი!

იყო ქალაქს დასადგომად მდიდრებთან,
ან ეაჭრებთან, ან ვისთანმე — გინდ ღვედლებთან;
მაგრამ საწყალს არავინ ახლო ხელი,
არავინ გაჩნდა იმისი შემნახველი.

ობოლია.... გუშინ ამისი ღებდა
ჩადეს კუბოს, წაიღეს საფლაგზედა;
რომ არ მოკედეს მშიერი ახლა ესა —

უნდ ითხოვოს საზღო ყოველსა ღღესა...

2.

შოჭრის ეტლი, ვით ელვა არის ცისა,
გაჰყვა უკან შეწუხებული ისა;
მაგრამ ჯაერობს მიგნით ვილაღ ამგვარად:
„მუქთა ხორო! უკან მომდევ აბა რათა“

ამ ხმაზედა გაქეზებით ერთგვარად
შეჰხედეს ბიჭთ საცოდავსა ავთვალად;
მეურმემაღ თვალი უგო აქ ამათ:
მადაწნა გძელი შოლტი საკმარად.

შორს გადმოხტა საცოდავი ჩუმათა,
იწყო ცრემლგა, თავს იგლიჯდა სულ თმათა...
განაგრძელა მაინც კიდევ გზა ნელა...
„მუქთა ხორად“ საწყალს ჰხადის სულ ყველა...

3.

გატანჯული ცხარე სიცხით ამგვარად
ჭალის პირში მიესვენა საკვდავად.
იმის ბედზედ ამ დროს მოდის გზაზედა
ბერი გლახა, სალთა-გუდით მხარზედა.

„გამარჯობა, ახალ გაზდავ! ვინა ხარ“

აქ რათ ჰგდიხარ — და შენ სახლში არა ხარ?
 — ქალაქილამ წამოვსულვარ დაღლილი,
 ვარ სიმშლით მწარედ წელში დახრილი.
 ხომ არა გაქვს: მაჯამო ცოტა პური, —
 მომიბრუნდეს იქნება ვითმე სული. —

„მე ვიშოვე ჩემთვისაც ცოტა ღღესა,
 მაგრამ შენგი მოგაშორებ ამ ტყესა;
 ზული მეწვის, რომ გიყურებ აქ ჰგდიხარ,
 უბედურად ჩემებრ, გხედავ, დასდიხარ.
 აჰ! გიყოფ ჩემს ცხოვრებას შენც წილით,
 შეც არ მოჰკლავს ჩემი ღმერთი მიმშლით.“

შებრალეზა მან აჩენა საწყალს ძმას:
 რაც ებადა, მთლად გაუყო შუა მას.
 გადიოდა ისევ სამგზავრო მხარზედ,
 გაცუხტუხტა ნელა ნელა ის წყალზედ. —

იყო ბევრჯერ საწყალი მდიდართ წინა,
 მათგან ტუქსვა ჰქონდა მას ყოველთვინა...
 სჩანს, რომ მშიერს ვეღარ იცნობს მაძლარი,
 ისევ ბრალობს საწყალს მისებრ საწყალი...

ნ. ვარდიაშვილი.

ბუნების მეცნიერებებში.

მთვარე.

იმისი შესვდულობა, მინდვრები, მთები, ჩრდილი, და-
ხეთქილობა, ფიზიკური გამოცხადება და რა მდგომარეობა
აქვს სხვა პლანეტებთან.

ვინ არის იმისთანა კაცი, რომელიც დიდის ყურადღებით
არ უყურებს მთვარეს და არ უყვირს იმისი მშვენიერება,
უმეტესად მაშინ, როდესაც თხუთმეტის დღისა შეიქნება,
როგორც ჩუქნში იტყვიან ხოლმე. მთვარე არის თვთ უა-
ხლოესი მრგვალი სხეული (მარი) და თანა-მოგზაური
ჩვენის დედა-მიწისა. რა არის მთვარე? რა მოქმედება აქვს მიწაზე და
იმის ჰაერზე (ატმოსფერაზე)? აი რა არის საჭირო იცოდეს ყველა
კაცმა; რადგანც ახლა ასტრონომიული იარაღები, რომ-
ლის საშუალებით ივლევენ ცის მნათობებს, სადამდინაც
კი შეიძლება სისრულეში არის მოყვანილი, ამისათვის ძნელი
არ არის ეიცოდეთ მთვარის ვითარება, და იმისი შესვლელო-
ბა. თავდაპირველად მთვარისკარტა (სურათი) სრულის აღწერით
გამოსცეს ბერლინის შრომის მოყვარე ასტრონომებმა ბერმა
და მედლერმა. შრომა ევროპამ ამ მსწავლულთ შრომა
მიიღო დიდის აღტაცებით. — ახლა ჩვენ ამ მოკლეს სტატიით
გვსურს მოკლედ შევატყობინოთ ცისკარის მკითხველებს
მთვარის ვითარება; ამისათვის შემოთხსენებული ბერის
და მედლერის თხუთმეტითგან ამოცნერით მხოლოდ

იმას, რაც რამ საჭიროდ ვრაცხეთ ჩუქსის მკითხველებსთვის.

ეს ცხადად შენიშნულია, რომ მთვარე ჩუქსი დედა მიწის მზგავსად, არ უფლის დღეში ერთხელ თავის ღერძს; ისა ცურავს ჰაერზედ ჩუქსი ქვეყნის გარემოში, საითყენაცა აქუს მხოლოდ ცალი მხარე მოქცეული და არა ბრუნავს ანუ ტრიალებს დედა-მიწასავეთ. ის უფლის ქვეყანას ოთხის კვირის განმავლობაში, მამასადამე, რა შემოთარგლავს ქვეყნის გარემოში ერთს მრგვალს ხაზსა, ის სრულად შემოუფლის ამ დროს განმავლობაში თავის ღერძსა. როდესაც მთვარე, ამ ოთხის კვირის განმავლობაში უფლის ჩუქსს ქვეყანასა, მზეს აჩვენებს თავის ორივე მხარეს, ჩუქს კი, ქვეყანაზედ მცხოვრებთა გვეჩვენება ცალის მხრით. უბრალოს მაგალითით შევატყობინებთ მკითხველებს ამ გამოცდილებას: ავიდით უბრალო ტყავის ბურთი, მოვაბათ ცალი წვერით ყაითან, მეორე წვერი დავიჭიროთ კელში და ვატრიალოთ. ბურთი არ იტრიალებს თავის ღერძზე, მხოლოდ ის ჭრთის კუთხით უტრიალებს კელსა. თუ რომ მეორეს მხრით მოუდგავთ სანთელს, ბურთი როდესაც ტრიალებს, ამ ტრიალში, ბურთას ოთხივე მხარეს სანთლის შუქი ხედება, მამასადამე სანთელი უნათებს, მაგრამ კელისაყენ კი სულ ცალი მხარე აქუს მიმართული. ასეც მთვარე არის, ის უფლის მიწას გარემოში და აქუს მიწისაყენ ცალი გვერდი მოქცეული, მზე კი ამ შემოვლაში უნათებს ყოველ მხარეს. მთვარე ერთ შემოვლით უფლის ქვეყანას ოც და შვიდის დღის, შვიდის საათის და ორმოც და ხუთის მინუტის განმავლობაში. მამასადამე, თავის ღერძის გარშემო

შეშოვლაში ისევე ღრო უნდება. ერთ ღლე და ღამეში ჩენი ქვეყანა უელის გარშემო თავის ღერძს; ჩუპნი ქვეყნისათჳს ღლე და ღამე ოც და ოთხის საათის განმავლობაშია; მთვარეში კი ერთი ღლე და ღამე ოც და შვილის ღლის, შვილის საათის და ორმოც და ხუთის მინუტის განმავლობაშია; თიჲქმის ერთის თვის განმავლობაში; მაშასადამე მთვარეზედ ორი კვირა ღამეა და ორი კვირა ღლე. როდესაც უელის მთვარე მიწას, მზე თან და თან აყენებს შუქს მთვარეს, როდესაც მოვა მეორე კვირას იმ ალაგს, რომ მრთელი ნახევარი მთვარის მხარე დაუხისწორდება მზეს, მაშინ სრულს მხარეს შუქი აღება დაამისათჳს ჩვენ გვეჩვენება სრულ მანათობ სხეულად; მაშინ ჩუპნ უწოდებთ ხოლმე თხუთმეტის ღლის მთვარეს, შემდგომში. ტრიალში, რამდენიც სცილდება და ეფარება ჩუპნი ქვეყანა, იმდენი აკლდება შუქი.

ღამე, მთვარის გვერდზე, რომელიცა არ არის მოქცეული, ჩუპნის ქვეყნისაკენ არის ძალიან ბნელი; მეორე გვერდზე კი, რომელიც ჩუპნკენ არის მოქცეული ისე ბნელი ღამე არ არის, ამისათჳს რომ მზის შუქი, რომელიცა აღგას ღლისით ჩუპნს მიწას, ეს შუქი უნათებს მთვარეს ჩუპნკენ მოქცეულს მხარესა; ისე უნათებს, როგორც თვთან მთვარე გვინათებს ხოლმე ჩუპნ ღამითა; მაშასადამე ჩენი ქვეყანაც, მთვარისათჳს მთვარეა. უეჭველია, როდესაც ჩუპნს ქვეყანას ღლისით მზე აღგას, მთვარეში რომ ხალხი მსცხოვრებდეს, ეჩვენებათ ჩუპნი ქვეყანა ბრწყინვალე მთვარედ, ბევრით გაბრწყინვებულად მთვარეზედ, რომლითაც ესიაშოვნებთ როდესაც თხუთმეტის ღლისა არის. მთვარის მხარეზედ, რომელიც ჩუპნკენ არის მო-

ქცეული, არაოდეს არ არის ბნელი ღამე, როგორც ზემოთაცა ვსთქვით, ამისათვის რომ ამ ნაწილს ხან უნათებს მზე, ხან ჩუპნი ქვეყნის მზისაგან მიღებული შუქი. მთვარის მეორე მხარეზედ კი, ღამე როცა მოახლოვდება, უცებ უნდა ღამდებოდეს; საღამოზედ ჩუპნში რომ ბინდია, ის იქ არ არის, ამისათვის რომ მთვარეზე ჰაერი არ არის. იქნება ჰაერიც იყოს, მაგრამ ჩუპნის ქვეყნიდან, ჯერ კი ვერ გაოგვიკვლევია. რა წამს მზე ჩაეა, ერთი ერთის მთვარის ნაწილის მცხოვრებლებს შეუძლიანთ დატყბნენ და ისიამოვნონ ორის კვირის განმავლობაში, მმენიერის განათლებულის ღამით, რადგანც ჩუპნის ქვეყნიდან შუქია იქ მიმდგარი.

მთვარეში რაც რამ მთები, მინდვრები და სხვა რამ არის გაზომილია იმ გეარის იარაღით, რომელსაცა უწოდებენ ეარსკელათ მრიცხველნი მაკრომეტრს. ყოველი მთის სიმაღლე, იმ ადგილით, რომელზედაც ის მთა დგას, გაზომილია დიდის შეცადინეობით, იმ მთის ჩრდილის მიხედვით, როდესაც მზის შუქი, ანუ ჩუპნი ქვეყნის შუქი ადგას. ამ გაზომისათვის, ამოურჩევიათ საუკეთესო დარიანი დრო; რამდენჯერმე განუმეორებიათ და რა შეუშოწმებიათ პირველ გამოანგარმებულ ცნობასთან, სწორე აღმოჩენილა. მთვარეზე არის ათას ოთხმოც და თხუთმეტი მთა. ზოგი ერთი იმისთანა მთა არის მთვარეზე, რომ არც ერთი მთა ჩუპნის ქვეყნისა, არ არის იმ სიდიდე და იმ სიმაღლე. ყველაზედ მაღალი მთა, რომელიცა გაუზომნიათ, ეარსკელათ მრიცხველთ ბერს და მედლერს, არის მთა, რომელსაცა უწოდებენ ნიუტონს. ეს მთა მდებარეობს მთვარის სამხრეთისაჲნ. იმ მთასა აქუს სიმაღლით სამი ათას შვი-

დას ოც და შვიდი საჟენი, მაშასადამე დიღია იმ ჩიმზო-
რასოს მთაზედ, რომელიცა მდებარეობს ჩუტნს ქვეყანაზედ;
იქნება მთვარის მეორე მხარეზე, უფრო მაღალი მთები იყოს,
მაგრამ ჩუტნ რადგანაც იმ მხარეს ვერა ვხედავთ და ვერც
ოაგის ღღეში დავინახავთ, ამისათვის არას ეანბობთ. ნიუტონ-
ის მთის გარდა, კიდევ მაღალი მთა არის მთვარეზე, რომე-
ლსაცა სიმაღლე სამიათასი საჟენი აქუს და რომელსაცა უწო-
დებენ კურცის. მონბლანის მთაზედ მაღალი მთები მთვარეზე
ოც და ათამდისინ არის.

ჩუტნ ყველას შენიშნული გეაქუს თვალთ, როდესაც
მთვარე თხუთმეტის დღისა არის, რომ მთვარეში ალაგ
ალაგ მოშავო ჩრდილებია, თითქოსო ცხვირი, წარბები და
თვალებიაო. აი, ბატონო მკითხველო, ეს ჩრდილები რა
არის: ასტრონომმა გეველიუსმა ამ ჩრდილებს დაარქვა ზღე-
ბი, მაგრამ ისეთი ზღეები კი არავის ეგონოს, როგორიც
ჩუტნი ზღეები არის. მთვარის ზღვა, მშრალი ზღვა არის, —
აშაზე მეტის სახელის წოდება ჩუტნ არ შეგვიძლიან. რო-
გორც გამოუყვლევიან და შეუტყვიან ასტრონომებს და დარ-
წმუნებულან, ამ ზღვებში წყალი არ არის, ამისათვის პირ-
ველი, რომ ის ალაგები სწორე არ არის; ალაგ ალაგ
ამოვარდნილია ადგილი და მეორეთ ამისათვის, რომ ფერი
ერთსავე და იმავე ზღვას სხუა და სხუა გუარი აქუს.
იქნება იყოს სხვაგან სადმე წყალი, მაგრამ ჯერ ეს არა-
ვის შეუტყვია. იმ მხარეზე, რომელიც მხარე მთვარისა
ჩუტნენ არის მოქცეული, არის ორი ტყუილი ზღვა, სა-
კმაოდ ვრცელი და მდებარეობენ ერთმანეთისაგან გაცილ-
ბეებით. ეს ზღვები არის: ზღვა კრიზისოვისა და მოკროტისა.

უნდა ესთქეთ ზედმიწევნით, რომ იმ ჩრდილებს, რომელსაცა ვხედავთ სადა თვალთ, უჭირავთ ორი მეხუთედი ალაგი მთვარეზედ. ეს ჩრდილები უფრო მომატებული არის აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის მხრისკენ. სამხრეთისაკენ სრულდებით არ არის. ასტრონომში გეგელიუსმა უწოდა ამ ჩრდილებს მიწის ზღვები; მაგრამ ბოლოს დროში ასტრონომში რიჩოლიმ გამოუცვალა სახელები და დასდვა ყველას საათითაო უცნაური სახელი: ერისის ზღვა, ნაყოფიერების ზღვა, სისველის ზღვა, ზღვა მოწმენდილის ჰაერისა ღრუბლებისა, ქარიშხალისა და სხუა. თუმცა ეს საკვლების წოდება ტუტუტურია, მაგრამ ყველა მთვარის აღმწერლებს მიღებული აქუსთ ეს სახელები; ამის გარდა ამ ორ საუენში ისე შეეჩინენ ამ სახელებს ეარსკვლავთ მრიცხველნი, რომ თუმცა ბერს ეცადნენ გამოეცვალათ, მაგრამ ეერათრით ვერ მოახერხეს.

უნდა ვფიქრობდეთ, რომ ამ გვარი ჩრდილები უნდა იმყოფებოდნენ, მთვარის მეორე მხარეზედაც, ამისათვის რომ ამ ტყუილი ზღვების ბოლო გატანილია ზოგ ერთს ალაგს მთვარის უკანასკნელ ზღუდემდის. ორი ზღვის ბოლოები, რომელთაგანაც ერთს ეწოდება კესტნერის ზღვა და მეორეს — გუმბოლტისა, შეხვეული აქუსთ მთვარის მეორე გვერდისაკენ. ტელესკოპით რომგასინჯოთ, დაინახავთ ცხადათ მთვარეში, რომ ის ალაგები, რომელნიც სადა თვალს ეჩვენებიან ბრწყინვალეთ, სავსეა გორაკებით, სერებით, მინდვრებით, ველებით და ხეობებით. ზოგიერთს ალაგს კავკასიის მთასავით, მთა გავლებულია ერთმანერთზედ. აპენინის მთას ეტყვიან, რომელიცა მთვარეზედ არის, და რომელიც, როგორც

ზემოთა ესთქეთ სამგზალ ევკლება მთვარის ერთს ნაწილს, ამ მთას სიმაღლე აქუს სამი ათასი სატენი. ამ გვარი მთები ბევრი წვრილებიც არის; ზოგი მთა განმარტოებთა ღვას და არ არის სხუა მთებზედ გადაბმული. მთა არის ქალეე ერთი, რომელსაცა აქუს სიგანით ოცი ვერსი. რადგანც მთვარე ჩუბნზედ მოშორებით არის, სამას სამოცი ათას ვერსზე, ამისათვის ძალიან წვრილი მთები და გორაკებიც რომელნი არიან, იმათი სიმაღლის ცნობა ცოტათი საძნელიოა. ზოგი ერთ ალაგს ისე წმირათ არიან გამბული ერთმანეთზე გორები, რომ არ შეიძლება კაცის თვალმა შენიშნოს იმათ შუა სადმესწორე ალაგი, რომ იმის მიხედვით შეიძლებოდეს სიმაღლის შეტყობა. ვისაც კი შეუძლიან ტელესკოპის ყიდვა, რომლის ფასი არის ორმოცი თუმანი, რომელიც უფრო ცოტა მდარეა, უკეთესი არ შეიძლება და უკეთესის სიამოვნებით ვერც დატკბება, — უმეტესად მამინ, როდესაც სოფელს ალაგს, განმორებუელს და მიყუდროებულს, ათ ხუთმეტის დღიხ ბრწყინვალე მთვარეს უყურებს და ხედავს მთვარეში ათას სხუა და სხუა გვარ იმის კუთენილებას.

ზოგან, მდინარეების მზგავსალ გაღის გაკელაყენილი ხაზები და იჟარგებიან მთების შუა სიღრმეში; ზოგან კიდეე იჟარგებიან ტყუილს ზღვებში. მხოლოდ ეს არის შენიშნული, რომ ეს მდინარეები ვიწროა, მაგრამ ჩრდილი კი აქედან ცხადათა სჩანს. ზოგი მდინარის სიგრძე თხუტმეტიდან ას ვერსამდინ იქნება, ზოგისა ას ორმოც დათიდან ორასამდინ. ამანედ გრძელი კი არც ერთი მდინარე არ არის. ამ მდინარის კელებზედ, ზოგნი ფიქრობდნენ, ვითომც გზები არისო, მაგრამ გზები არ არის ეს, არ შეიძლება ეიფიქროთ, რომ

ეს მდინარეების კელები იყოს გზები, თუნდა რომ ადამიანებიცა სცხოვრებდნენ იქა, ამისათვის რომ ამ გვარი გზების გაკეთება კაცის კელით შეუძლებელია. თუნდა ესოქვათ კიდეც მთვარეში სცხოვრებენ სულიერნი არსებანი, მაგრამ ეს არსებანი, კაცი არ უნდა იყვნენ, ამისათვის რომ, როგორც ბოლოს დაინახავთ კაცებს მთვარეში ცხოვრება არასგზით არ შეუძლიანთ. ჩუპნ ვარჩევთ ამ მდინარეების კელებს, რომლისაც სიგანე ორასი, ან სამასი საყენია, ზოგან უფრო განიერიც არის, მაშასადამე ამ სიგანე გზა სად გაგონილა. ამის გარდა, არც გზების კვალობაზედ არის ეს გზები დაწყობილი, თუ გაკეთებული. მაგალითად ავიღოთ გუთტენბერგის საშლდარი მთვარეზედ. იქ გზები მოდის სწორეთ, ერთი ერთმანერთისგან მოშორებით, და თავდებიან ვრცელს, მოწმენდილს მიწაზედ. ჩუპნში გზა იწყობა რომელისამე ქალაქიდან, ან სოფელიდან და თავდება რომელიმე ქალაქში ანუ სოფელში; თუ ის კელები გზები არის. რატომ იქაც ისე არ იწყობა და ისე არა თავდება.

ასტრონომები ბევრს ეცადნენ შეეტყუთ და გამოეკვლიათ, მთვარეში სახლების შენობები არის რამე თუ არა. სახლების შენობა რომ აღმოეჩინათ, უძველესი კაცებიც იცხოვრებდნენ მაგრამ ვერა რომელი შენობის კვალს ვერ მიაგნეს; მაშასადამე არც ადამიანებს უცხოვრიათ იქაო. ვარსკვლავთ მრიცხველნი ბერი და მედლერი ამის წინააღმდეგ აი რას ანობენ. სადა თვალთ კაცი დაინახავს ადამიანს, ანუ ცხენს, ზოლოდ შვიდ ვერსზედ, მეტზედ კი აღარ შეიძლება. რომ გავარჩიოთ კაცი მთვარეში, ანუ რომელიმე პირუტყვი, უნდა იმასთან ტელესკოპი გეკონდეს, რომ

რომ ორმოც და ერთ ათასჯერ გაადიდებდეს საგანს; ჩუპნი
 ვარსკვლავთ შრიცხველების იარაღი აღიდებს მთვარეს მხო-
 ლოდ სამასჯერ, მაშასადამე ჩვენ ვერ შეგვიძლიან გავარჩიოთ
 მთვარეში ცხოველი, მინამ არ ვიქონიებთ ტელესკოპს, რო-
 მელიცა გაადიდებდეს საგანს ას სამოც და ათჯერ მეტს
 ეხლადღელ ტელესკოპზედ და იმ გვარ ტელესკოპს, რომელიც
 ას სამოც და ათჯერ მეტად განაძლიერებდეს ქვეყნის ჰაერის
 გამჭვრეტელობას, ამის გარდა, მთვარის სისწრაფით მსვლე-
 ლობა უნდა ამდენჯერვე ნაკლები იყოს, რომ კაცმა მოასწ-
 როს თვალი და კარგა ბეჯითად შენიშნოს. თუნდ ამ გვარი
 ტელესკოპის შედგენა შეიძლებოდეს. მთვარეს ხომ ვერ მო-
 უკლებთ სისწრაფით მსვლელობას; მაშასადამე ვერც
 თავის ღღეში შეიძლება გაარჩიოს კაცმა წვრილი ნივთები მთე-
 რეში. ეს მოკლედ აღწერა მთვარისა გამოვწერეთ, ბერის და
 მედღერისგან მედგენილის სავარსკვლავთ შრიცხველო. წიგნი თან
 ამ პატივცემელთ ასტრონომებს გამოუყიათ ამ წიგნთან მთე-
 არის კარტაც, სადაც დაწვრილებით გამოხატულია რაც რამ
 მთვარეში ალაგებისათვის მიუღნიათ.

თბილისელი დონ კიხოზი

და

იმისი გამოლაშქრება „დროებაში“.

თითქოს აშობენ და სწერენ კიდევ, რომ რაინდების დრო წავიდაო? — სრულებით ტყუილია. რაინდები ისევ სუფევენ და უფრო მომეტებით ის რაინდები, რომელთაც თავხედობის გამო უწოდებენ დონ კიხოტებს. ქართველებსაც გამოუჩნდათ ერთი ჩინებული რაინდი, რომელიც სრულებით არაუფერში არ დაუეჭრდება რაინდს დონკიხოტს, — არც ჭკუით, არც საქმით და არც თავხედობით. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ლამაზი რაინდი დონკიხოტი იღვწოდა ჭეშმარიტებისთვის, პატიოსნებისთვის და სიმართლისთვის; თბილისელი რაინდი დონკიხოტი კი იღვწის ჭეშმარიტების წამეტყველებისთვის, ხშირად სიმართლესაც ბაზედ აგდებს, ან ჯიბეში იმალება და პატიოსნებაში კი მრავალჯერ წაიბორძიკებს ხოლმე; ამის გარდა განსხვავება ამ ორ გმირთ შორის კიდევ იმაშია, რომ ლამაზი დონკიხოტი იღვწოდა სახელისთვის, — ძალიან ჰსურდა რომ იმისი სახელი ჩაწერილიყო მატრიანეებში, — და ეს სურვილი ჰქონდა იმას წრფელის გულით, რადგან ჰკავებდ ცოტა წაბორძიკებული იყო; ჩვენი თბილისელი დონკიხოტი კი იღვწის სახელის-

ვის, ბიჭობისთვის, მაგრამ განზრახვით კი, რომ ტაში დი-
მიკრანო, — ეს იმ მიზეზით, რომ შეტად გონიერი და მე-
ცნიერია.

ეს განსხვავება ამ ორ გმირთ შორის უჩვეელია იმიტომ
წარმოსდგება, რომ, ჯერ ერთი: ეს რეინდები სხვა და სხვა
ქვეყნისანი არიან; მეორე, რომ ლამანჩელი დონკიხოტი დი-
დი ხანია რაც რაინდობდა (რაინდობის დროს, სამუალო
საუკუნეებში), ეს ჩვენი დონკიხოტი კი რაინდობს ეხლა,
მეცხრამეტე საუკუნეში; მესამე, რომ ძველი დონკიხოტი
იყო ორმოც და ათის წლისა, როდესაც დაიწყო თავის
ხელობა, და ეს ჩვენი ახალი დონკიხოტი კი ჯერ იმაზედ
ახალ გაზდაა. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ, რაკი ხანში და
ხანში შევა — უფრო და უფრო დაემსგავსება ლამანჩელს
გმირს, და იმის წლისა რომ შეიქნება, მაშინ იქნება ლა-
მანჩელივით აღჯდეს ტაიჯსა, აღიჭურვოს ფარ-ხმლით და, თა-
ვის წინაპარივით, მკლავით გულაშქრდეს ყველა თავის მოწინა-
აღმდეგე ლიტერატორებს; თუ არა სულხომ სიტყვით არ იქნება
რაინდი, — ახლა საქმიანად დამტკიცებს თავის მყოფობას.

მეოთხელო, მე აქამდის იმიტომ არ გითხარ ნამდვილი
სახელი ჩვენი თბილისელი რაინდისა, რომ, თუ შეტად სკე-
ტუი არა ჰარ — ადვილად გაიგებდი, რომ მე ვამბობ ჩვენ
ვამოჩენალ, მეცნიერთ მეცნიერ, გონიერთ გონიერ და...ლარ
ვიცი რა ვსტყვა ისეთი...კარგი სახელი...უფ. ანტონ ფურ-
ცელაძეზედ. რადგან ეს გმირი ძალიან დაემსგავსა ლამანჩელს
გმირს, და თუ რამე მხარე ჯერ არ შეუშუშავებია თავის წი-
ნაპარივით — იმედია რომ შეიმუშავოს და ყველაფერში და-
მსგავსოს იმას, — იმიტომ მე მიმირთმევია იმისთვის თავის სა-

რეე წანაპარის სილი: „დონ კიხოტი“ და ამ სახელისთვის, რომ განსვავება იყოს ამათ შორის, მიმამატებია: „თბილისელი; მამასადამე ჩემთვის „უფ. ანტონ ფურცელაძე“ და „დონკიხოტი თბილისელი“, ერთსა და იმავე პირს შეადგენენ.

ახლა დასამტკიცებლად ჩემგან ნათქვამებისა ავიღოთ იმის „დროებაში“ გამოლაშქრება, რომელიც მოახდინა იმან „დროების“ 30 ნომერში, და რომელიც მოუთქვრია ოც და ორ დღეში. (დონკიხოტი ლამაჩელი ამაზედ უფრო მარდი იყო მოფიქრებაში).

უფ. ანტ. ფურცელაძე თავის გემოლამქრებას იწყობს ესრე: „ეს საცოდავი (კარგად არ იწყობს თავის დონკიხოტობას თუ! დონკიხოტიც ყველა თავის წინააღმდეგს საცოდავს ეძახდა) — თავის საუბედუროთ (ესეც დიდი არგუმენტია — დონკიხოტობისა) ვიღასაც კეთილის მყოფელს წაუქეზებია ჩემზედ გამოსაპასუხებლად... ამასაც უფიქრია: მოდი ერთი გავებდავ და შევებლლარძუნები უფ. ფურცელაძეს („უფალს“ — არ გაიცინოთ! დონკიხოტობა არ არის, მაშ რა არის!) — თუ თავი არ გამიყადრა და ხელი არ გამომიღო (ბიჭო! ეს აღარ ხუმრობ აი! სწორედ დონკიხოტია!) — ხომ შემრჩება ჩემი ყვინჩილაობა, (თავის დღეში არ მიფიქრია ყვინჩილაობა; ამგვარი ფიქრი დონკიხოტის საქმეა) — თუ არა და ეგება ჩემმა წამქეზებელმა ნატარქეკიამ (როდესაც დონკიხოტს დაამარცხებდა ვინმე, მაშინვე იტყვოდა: ეს უთუოდ ვინმე ჯადოქარმა უშველა ამ ჩემ მოწინააღმდეგესაო, თორემ მე ვინ მომერევია! უფ. ანტონ ფურცელაძესაც პატივია, რომ იმას ეერაყინ მოერევა სხვის შეუწყდევლად და

რომ უთქვენოთაც ბევრი საქმე ჰქვას; და თუ ვინიცობაა აღარ დაიშლით და თქვენი ძველებური ბაქაობა წაგძლევსთ — ჩემგან პასუხი ნუ გინდათ..

აი, მკითხველო, აქედან გაშოიყვანა ჩვენმა დონკიხოტმა, რომ ვითომც მე იმას ევხეწებოდი ეს ერთი მპატივე შე-
თქი; მე კი ასე მგონია, რომ ამ სიტყვებით მე გამოუც-
ხადე უფ. ფურცელაძეს უსარგებლობა ამ გვარი პოლემი-
კებისა და ამასთან, რადგან ვიცოდი, რომ უფალი ფურცე-
ლაძე ცოტა თავზედი და დაუდგრომელი უნდა ყოფილიყო
თავის წინაპარი დონკიხოტივით, ამისთვის აღუთქვი უპა-
სუხობა იმ შემთხვევაში, თუ ის პასუხს დასწერდა; მაშა-
საღამე აღუთმეი უპასუხობა იმ ჩინებული საბუთით, რა სა-
ბუთითაც უბრალო მომპყვდავი არ შეეგმის საქვეყნო გმირ
დონკიხოტებს, და — თუ არ გაგვიწყრება უფ. ანტონ ფურ-
ცელაძე მართლის თქმისათვის, როგორც ჩასიათად სჭირსთ
დონკიხოტებს, — იმ საბუთითაც აღუთქვი უპასუხობა, რა
საბუთითაც გონიერი კაცი ზოგრიდება ნაგვის გაქექას. —
მე არ მეგონა, თუ ამ გვარი ახსნა მოუწოდებოდა უფ.
ფურცელაძეს ჩემი სიტყვებისა: საკვირველია, სულ იმას იძა-
ხის გონიერი ვარ და ყველა წაშეიფხავსო... როგორც ეს ჩე-
მი უბრალო სიტყვები გაიგო, თუ ისე ეყურება ყველა —
მაშინ... მაგრამ დონკიხოტიც ბევრი კითხვისაგან არ დაიმთხ-
ვა... იქნება მართლა უფ. ანტონ ფურცელაძესაც ბევრი წა-
ეკითხოს...

ამის შემდეგ უფ. ფურცელაძე ამბობს თავის სენტენ-
ციებს, რომელნიც კილოთი ადვილად შეედარებიან დონკი-
ხოტის სენტენციებს. მერე ამბობს თავის აზრს კალინდარზედ, თუ

ჩოგორი უნდა იყოს და გადმოდის ჩემ კალენდარზედ, რომელსაც ჰრაცხს ყველანაირად უსაძაგლეს კალენდრად და საფთხოვებლად. (ქვეიანი კაცია რაქნას?) ამის მიზეზი გამოჰყავს იქილამ, რომ მე არაფერი ვიცი ქვეყნიერებისა. ის ამბობს: „სწავლა, ზომ, როგორც ჩემი მოკლე განცხადებებში სცნობდა მკითხველი (საკვირველი ავტორიტეტი უნდა იყოს უთუოდ, რომ ესე თამამად ლაპარაკობს თვის ნაჯღანზე ზედ? მაგრამ რაქნას, თუკი დონკიხოტსა ჰბაძავს!)— დათვით ავალი მვილის აღსარებლობა სცნობდა მკითხველი, ღმერთს იმისთვის არ მიუწიკებია.— „დროების, მკითხველო, როდის გითხარ აღსარება, რომ ღმერთმა მე არა ვითარი სწავლა რომ მომანიჭა მეტოქი?.. მაგრამ ეს ჩემი აღსარება უფ. ფურცელაძის სინამარში მოელანდებოდა და ჰგონია, რომ წამდებოდა როდისმე მომხდარა ... დონკიხოტიც ამხასიათისა იყო... მერე ბძანებს ასრე: „ანკი რა ცოდნა უნდა ვთხოვოთ იმ კაცსა, რომელმაც 1867 წელში არ იცის, რომ ფრანკიცა საკოროლო არ არის და პრუსსია 19 მილიონი აღარ იქნება (ეგ როგორ არეცი? ცხრაშეტი მილიონი პრუსსია როგორ იქნება? პრუსსია ერთია)—მეშდეგ იმ ცელილებსა, რომლებიც იქ აშ უკანასკნელ დროში მოხდა და რომლებიც, როგორც ვიცანით (თქვენ თქვით: ვიცანი თქო—სხვის მაგიერად ნუ ლაპარაკობთ: დონკიხოტი ყოველთვის თავისით ლაპარაკობდა ხოლმე)—ავალიმვილს არ გაუგია.“— მე არაფერს ვნახე ჩემზედ იმისგან ნათქვამებს, თუმცა უფ. ფურცელაძეც დაჰმადიებდა, იმაზედ რომ ვისმე ეთქვა ესენი, რადგან შინა ღფროც ცხადათ ნახოს მკითხველმა უფ. ან. ფურცელაძის დონკიხოტობა.— მე გამოვაცხადე „დროების,

26 ნომერში, უფ. ფურცელაძეზედ,—აწ დონკიხოტზედ—
დაწერილს სტატიაში, რომ მე ეს შეცდომილებაჲნი მომივიდ-
ნენ: პირველი — ესე იგი ის, რომ ფრანცია საკაროლოდ
დავწერე, — სრულებით განუზრახველად, ასე რომ მე ესლა
კიდევ მიკვირს, თუ როგორ მომივიდა ფრანციის
„საკაროლობა“. უფ. ფურცელაძე კი ამ ჩემ შეცდო-
მილებას იმ მიზეზს აბრალებს, რომ მე არ ვიცოდი ვი-
თომც ფრანცია იმპერია იყო, თუ საკაროლო, და არ იჯე-
რებს, რომ მე ეს შეცდომილება მომივიდა არა უცო-
დინარობით. მე აქ დავარწმუნებდი უფალ ფურცელა-
ძეს, რომ მე ფრაციის „რაობა“, დიდი ხანია ვიცი, მაგ-
რამ, რადგან ვიცი, რომ დონკიხოტობით არ მიიღებს ჩემს
დარწმუნებას, ამასთან მეტად ჰსურს მე არა ვიდე რა--ამი-
სათვის აღარ შევაწუხებ.

მეორე შეცდომილება, ესე იგი ის, რომ პრუსსიაში მც-
ხოვრებთ რიცხვი, ქვეყნის სიდიდე ძველებურად აღარ არის,
და ჩემ კალენდარში კი ისევ ძველი აღრიცხვით არის ნაჩ-
ვენები — მე შეცდომილებად აღარ მინახნია, თუ კი არ დაი-
მლის უფ. ფურცელაძე. შეცდომილება ის არის, რომ ფრან-
ციას საკაროლო დავარქვი; ის რა შეცდომილებაა, რომ
პრუსიის ცვლილება, ახალი სტატისტიკური ციფრების უქ-
ონწელობით, არ აღვნიშნე? მე არვიცი ღმერთმანის, სა-
იღამ უნდა მეშოვნა ის სტატისტიკური ციფრები, რომელ-
იც ესლა, ცვლილების შემდეგ ემესაბამება პრუსსიას, დარო-
მელიც უეჭველია თვით უ. ანტ. ფურცელაძემაც არ იცის
ჯერ. მაშინ არიყო ეს ცნობები და თუ ვარაუდით აღმენიშნა —
ხოშ უფრო ხრეის მოსაღები იქნებოდა და უყურებდით მაშინ

უფ. ფურცელაძეს რამოდენა წიგნს დასწერდა ჩემ კალენდარზედ: სწორედ ერთს ტომს კი გაჰყრებოდა ამ გვარის ზედ-წარწერით: „ბილლი ავალიშვილის კალენდარზე.“

მერე უფ. ფურცელაძე იმაზედ ბაასობს დონკიხოტურად, რომ მე ვითომც მეგონა, თუ ორი შეცდომილების მეტი არა მქონდა კალენდარში, და ამ ბაასში თავის სასტიკის ენით და გონიერი თავით ამბობს მრავალ ლანძღვას ჩემზედ. (მე არ ვიცი ღმერთმანის, ნუ თუ ლიტერატორობა ქუჩის ბიჭობა არის? უფ. ფურცელაძეს ესრე გაუგია ეს საგანი და ავი იშიტომ ჩინებულათაც ილანძღება...) ამის მიზეზიც მე მგონია ის არის, რომ ძალიან გული სტკენია ჩემი სტატიისგან, რომელიც არის დაბეჭდილი „დროების“ 26 ნომერში. ავი მოგახსენეთ, დონკიხოტი სულ ჭლანძღადა ხოლმე, ვინც აუხსნიდა იმას თავის შეცდომილებას და თავხედობას. —

მეტად ბევრს ბაასობს იმაზედ, რომ ჩემ კალენდარში ორ შეცდომილებაზედ მეტია; რომ, როგორც პრუსიაში მოხდა ცვლილება და შეემატა ხალხი და მიწები, ისე ავსტრიას დაჰყვოდა, ისე იტალიას შეემატა; აგრეთვე გერმანიის კავშირის სხვა და სხვა სამეფოებშიაც მოხდა ამ გვარი ცვლილებები. მერე იყვების თავისებურად, რომ ავალიშვილი ეს-ლაც კიდევ იტყვისო მარტო ამ შეცდომილებების მეტი ხომ აღარა არისრაო? და მე კი ვიცი ბევრი სხვაო და თუ საჭირო იქნებაო (ესე იგი თუ პასუხს დაუწერდი) მე შევატყობინებ იმას კიდევ სხვა შეცდომილებებსაცაო. რომ აღარ მეწყუხდეს თითონაც და მკითხველაც აღარ შეაწყუხოს თავის რახარუხით, მე ეხლავე მინდა ესთქვა, თუ კიდევ რომელი

შეცდომილებებს ინახავს საშეორე სტატიოდ. ეს ისინი არიან, რომ, როგორც პრუსიას "შემატა ხალხიც და მიწებიც, ისე შესავალიც უნდა მოჰმატებოდა, ისე გასავალიც, იქნება ვალიც, ქალღლის ფულიც; ამასთან, ეხლა უფრო ბევრი სავაჭრო მოუწდება პრუსიას, რადგან მომხმარებლები მოემატნენ, აგრეთვე ბევრს სავაჭრო ნივთს გაიტანენ იქიდან, რადგან გამკეთებლები და შემმუშავებლებიც მოემატნენ; ამგვარი ცვლილებანი უნდა მომხდარიყვნენ სხვა საშეფოებშიაც, რომელნიც შარმანდელ ომში ერივნენ. მე არა ერაცხე საჭიროდ ყველა ამ ცვლილებების მოხსენიება, რადგან ეს ცვლილებანი პრუსიის ცვლილებასთან შეკავშირებული არიან და ადვილად გაიგებდა ამას ჩემი სტატიის მკითხველი (ფურცელადის მეტა, როგორც სჩანს); ამასთან, აბარამდენი მეთქვა ესთქვი უმთავრესი, და სხვები, რომელნიც ამ უმთავრესიდან გამოდიოდნენ — მკითხველი თითონ გამოიყვანდა.

რასაკვირველია უ. ანტ. ფურცელაძეს რომ ეთქვა, ავალიშვილის კალენდარში "ევროპის ქვეყნებზედ სტატისტიკური ციფრები, რომ არის ჩართული — ეს ეხლა დაძველდაო, მე ვიტყვოდი: ქვეშარიტებას ეძებს ეს კაცი მეთქი და არაოდეს არ დავემდურებოდი; მაგრამ, რადგან ძალიან ბევრს არახუნებს იმ სტატისტიკურ ციფრებზედ — მე ეხლა ვფიქრობ და დარწმუნებულიცა ვარ, რომ მისი რაინდობა არა მწყალობს მე და ამისთვის გამოლაშქრა და დონკიხოტობს ჩემზედ. ათი სიტყვის მაგიერად ნახევარ დაბეჭდილ თავახზედ მეტის გაჭრელება და გაჭიანურება, ამასთან სულ ღაბდღით — დონკიხოტობა არ არის მამ რა არის? დონკიხო-

ტსაც არ უყვარდა მოკვლელ ლაპარაკი, უმეტესად როდესაც ის გაჯავრებული იყო ვიზედმე. ის ყოველთვის დობე-ყორეს ედებოდა და უფ. ანტ. ფურცელაძისაგან ძალიან გაცხარებული ბაასობდა, როდესაც ვისგანმე იყო დაჩაგრული.

უ. ან. ფურცელაძე ძალიან მკაცრად მებასება იმაზედ, რომ მე მეხიკას იმპერია დავარქეი. ის ამბობს: „ის რიღას შეცდომილება იყო, რომ მეხიკას იმპერია დაარქვით? თქვენ იქნება მითხრათ, რომ ხელმწიფე იჯდა იქა (თუ კი იცოდით ან ესა და იმითი არ მოგიცდათ, რომ *крестовый календарь* — ში (*крестовый* კა არა, *крестный* — არც კი იცის) — ისე ეწერა) როცა მე ამ კალენდარსა ეწერდიო. მერე ბაასობს რალაყებს დი მატყობინებს, რომ შაქსიმბილიანეს ტრაგიკული ბოლო მოუვიდა (დიდად მადლობელი ვარ. ნეტა რალად გვინდა გაზეთი? უფ. ფურცელაძე აქ არა გეყავს პოზბედ?) შემდეგ მარწმუნებს, რომ მე არ ვიცოდი თუ მეხიკა იყო სადმე (თუ არ ვიცოდი, როგორ ჩაეწერე ჩემ კალენდარში — უ. ფურცელაძეს ამაზედ სრულებით არ უფიქრია) და აბოლოვებს ერთ ვრცელ მუხლს ამ დონკიხოტური შემოტევით: „აბა რა გიყო, ავალიშვილო!“, და სხვა.

ამ შემოტევაზედ მომაგონდა სამი გლახის ამბავი, რომელთაგანი ერთი იყო ორივე თვალებით ბრმა, მეორე ორივე ფეხებით; კუტი და შესამე — გახრეცილი გლახა. ეს სამი გლახა ერთხელ ლხინობდნენ ღვინით და რომ შეუჯდათ თავში ბახუსის ძალი, ბრმამ, რომელსაც სტაქანი ეკირა ხელში ღვინითსავეს, (უ. ფურცელაძე ამასაც არ დაიჯერებს და იტყვის: სტაქანი კი არა, ყანწი იქნებოდაო — მესაძლებელია) წამოაძახა:

„ეს რა წითელი ღვინოა!“ ამჯერდ კუთმა დაუჭყიელა: „შეასეთ ისეთოვო, რასა ჰხედავ წითელია თუ თეთრიო? ახი არარის შეგდგე ზედ და წიხლით გაგთელოვო?“ ამას დააყოლა გახრეკილმა გლახამ: „მოკალი ეგ ასეთ ისეთიო, მაგის ფასს მე გადავიხდიო.“ ჩვენი უფ. ანტ. ფურცელაძეც იმ გლახებივით მიყვირის დიდი გულით: „რა გიყო, ავალიშვილოვო!“ — მეხიკის იმპეროზაზედ კი ეს უნდა მოვახსენო უფ. ფურცელაძეს, რომ მე არ შემირიცხავს მეხიკა იმპერიალ, რადგან ქვეყნის იმპერიალ, ან რესპუბლიკად შერაცხვას მე სრულებით არაფერს მკითხავს. იმპერიალ მეხიკა არის შერაცხული მთელი ევროპიისგან, და მე რომ რესპუბლიკა დამერქმევიანა — ჯერ ერთი ვიმტყუნებდი და მეორე: უ. ანტ. ფურცელაძე მამინ უფრო გამომილაშქრდებოდა. ამასთან უფ. ფურცელაძეს ჰგონია, რომ მე მეხიკის იმპეროზა ამოეწერე „კრესტნი“ კალენდრიდამ, რომელსაც ის ეძახის „კრესტოვის“ და რომელშიაც სრულებით არ არის მეხიკის ხსენება. ეტყობა კარგა წაუყიოთხავს „კრესტნი“ კალენდარი, რომელსაც ის ეძახის „საძაგელ რუსულ კალენდარს, და მე კი მგონია, რომ რუსებს იმაზედ უკეთესი კალენდარი არა აქვსთ. საკვირველია! კრესტნი კალენდარმა რალა დაუშავე, რომ ისე წინ დაუხედავად სჯის იმაზედაც, მამინ როდესაც, როგორც ვატყობ სრულებით არცკი უნახავს... მაგრამ ნათქვამია „ცხენს ვერა დააჯლესრა — უნაჭირს მისწედნენო.“

შემდეგ ამისა, — თავი კი მოგაწყინე, მკითხველო, მაგრამ რაგაეწყობა? ამგვარი შესხედრა ჩვენი პირველი და უკანასკნელი იყო, — შემდეგ ამისა უფ. ფურცელაძე ძალიან დამე-

ჯახა, სწორედ დონიხოტივით, იმაზედ, რომ მე ეჭოთი
 სტატისტიკოსის ცნობები ჩავატანე ჩემ კალენდარში. ამ ცნო-
 ბას ჰქვია „1866 წლის სტატისტიკური ცნობა მიელს
 ქვეყანაზედ, და შესდგება თოთხმეტი დიდი ფორმატის სტრი-
 ქონისგან. ისა სწერს: „ახლა გადავიდეთ სხვა თქვენ უშვე-
 რებასთან (თავხედობა!) უფ. ავალიშვილო. თქვენა სწეროთ,
 რომ .330 მილიონი მომკვდარის მაგიერად იბადება ყო-
 ველ წელიწადს 412 ნახევარი მილიონი; მაშასადამე ყოველ წელი-
 წადს ემატება 82 ნახევარი მილიონი სული, რომლის გამოც ხალ-
 ხი უნდა ძალიან გამრავლებულიყო ქვეყანაზედა, მაგრამ ომე-
 ბის გამო ხალხის რაოდენობა თითქმის ერთნაირია (!) და
 მომატება ვერც რიგად საგრძნობი არ არის.

„აი ჰყუა! აი ცოდნა!...“ მივიჩინებ ის და შემდეგ ამგ-
 ეარი სხვა თავხედობისა, მგზავნის სხვა და სხვა სტატის-
 ტიკოსებთან და მეცნიერებთან და ამასთან მეუბნება, რომ
 „შენ ესენი გაგონებოდაც არ გაგიგონიაო.“ (დონიხოტია და
 ამისთვის ეპატივება ეს თავხედობები)—და ძალიან ვრცლად
 აჭიანურებს თავის სტატიას ბოკლისა და დარვინისგან დამტკიცე-
 ბების მოშველებით და ამბობს, რომ მარტო ომების გამო არ იხო-
 ცებაო ხალხი, არამედ სხვა მიზეზების-გამოცაო. ხალხის სი-
 კვდილი და სიცოცხლე დამოკიდებულიაო საზღოზედ, საც-
 ხოვრებელზედ, ჰაერზედ, გიოგრაფიულ მდგომარეობაზედ და
 სხვა მრავალი კაცის სიკეთესა და ნაკლულეფანებაზედაო, — და
 ამ თავის ნათქვამებს ცდილობს დაამტკიცოს თავისი კალ-
 შის მახვილ გონიერებით. ახლა მე უნდა ვკითხო უფ. ფუ-
 რცელაძეს, რომ რად იმტერებს ასე თავს ამის დამტკიცე-
 ბაზედ? ისარა სჯობდა, რომ ცდილიყო რიგიანად გაეგო ჩე-

მგან დაწერილა? მე რომ ესქთვი (სტატისტიკოსის სიტყ-
ვები) სამასი მაღლიონი მომყვდარის მაგაერად იბადება ოთ-
ხას თორმეტ მაღლიონ ნახევარი სული მეტყი, — რატომ ვერ
გაიგო უფ. ფურცელაძე, რომ ეს სამასი მაღლიონი სული
სწორედ ის მომყვდარები არიან, რომელნიც იხოცებიან ანტ.
ფურცელაძის ნათქვამი მოწმეებისგან, — თუ არა სხვა მოწმე-
ზები სიკვდილისა რომელიღა? იქნება ბუნების ამბობს?
მამ ძალიან სცოდნია სტატისტიკა... ჭკვიანი და მცოდნეა-
რცა... — და ოთხსოცდა ორ მაღლიონ ნახევარი სული კი,
რომელიც ემატება ყოველ წელიწადს ხალხის რიცხვს —
სულ არა რჩება ქვეყანაზედ, რადგან ო მ ე ბ ი ს გ ა ნ ა ც
მევრნი იხოცებიან მეტყი... დალოცვილს არა სჯობდა პატა-
რა თავი შეეწუხებინა იმ უბრალო ფრაზის გაგებაზედ ამდენ
რაზარუხსა, ქაღალდის გაფუჭებასა და მკითხველის შეწუხე-
ბასა? ... მაგრამ დონეიხოტიც არ იწუხებდა ხოლმე თავს ესე-
თი უბრალო საგნების შეტყობაზედ და ყოველთვის ესე წინ
დაუხედავად თავხედობდა...

მერე მიდის გეოლოგიური სტრიქონები (სადაც მკითხ-
ველ მეჭხედება ფორმატი. მე ვერ გავიგე, უ. ანტ. ფურცე-
ლაძე წიგნის ფორმატზედ ამბობს, თუ დედა მიწის ფორმა-
ციებზედ? მაგრამ, მგონი, უფრო დედამიწის ფორმაციებზედ
უნდა ლაპარაკობდეს, თუ კი აქაც ჩემი კალენდრის ფორ-
მატი არ მოეღიანდა). მერე მისდევს მრავალ-წერტილოვნობა,
სადაც უეჭველია ბლომად ყოფილა გაჭიანურებული გეო-
ლოგიაზედ (მამ რა! არ უნდა ეჩვენებინა ჩვენთვის, რომ გე-
ოლოგია იცის? დონეიხოტმაც, თუ კი იცოდა რამე, ყველას
შეტყობინებდა ხოლმე თავის ცოდნას). — მერე ამბობს დარ-

ჯინის სიტყვებს, შემდეგ თავის სენტენციებს, — მაშ, ღარვინს დახმარება არ უნდოდა? — და სულ იმაზედ კი ბაასობს ამდენს, თუ როგორ შემეძლო მე, რომ იმავე სტატისტიკოსისგან აღრიცხული სოფლის დასაბამიდან აქამომდე მომყვდართ რიცხვი ჩავართე ჩემ კალენდარში. მე ჩავართე, რასაკვირველია, კუროზისთვის, რომ მჭევრებიან სადამდის მიდის კაცის ცოდნის მოკვარეობა და გამოკვლევის სურვილი, — უფ. ფურცელაძეს კი ჰგონებია, რომ მე სრულებით მწამს ის სტატისტიკური ციფრები. საქაროდ ვრაცხავ დავაჯერო უფალა ფურცელაძე, რომ არათუ ამისთანა კუროზულ სტატისტიკურ ციფრებს უჯერებ, არამედ სხვა ყველა სტატისტიკურ ციფრებზედაც იჭიკო ვიყურები, რადგან ბევრი მიზეზი მაქვს...

ამ მოსწენებულ სტატისტიკურ ციფრებს უფ. ფურცელაძესთვის მართლაც დიდი მასალა ლაუბობისა და რახარუხისა. მე ვამბობ რახარუხისა ამიტომ, რომ ის სჯის კალენდარზედ და დაბარაკობს გეოლოგიანზედ, ისტორიანზედ და სოციალიტკიანზედ და ისკიარიცის, რომ კალენდარში ესენი არ გამოდგება. რასაკვირველია, ისა სჯის როგორც რეალისტი (პარჯვარს გადიწერს უფ. ფურცელაძე — ამისთანა სიტყვები სად გაუგონიაო, რადგან ჰგონია, რომ იმის მეტს სხვას არავის არა გაუგონიარა) — მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, იმის რეალიზმი ღონიხოტობით არის სავსე და ამის გამო ყველას მოსწყინდება, როგორც მოსწყინდებოდათ ხოლმე ღონიხოტის ქადაგება...

შემდეგ გადადის კალენდრის ენაზედ და რაც ძალი და ღონე აქვს ცდილობს დაამტკიცოს, რომ მე სრულებით არ ვიცი ქართული ენა და ორი სიტყვაც ვერ გადამიბავს ერთმანეთზედ, და ამასთან რუსულიც სრულებით არ მეყურება.

ამას იშტომ ამბობს, რომ გულ დამწერა და კიდევ იმ
იწესით, რომ მე რუსული აზრი არ გამოცხატე იმ სიტყვე-
ბით, რა სიტყვებითაც გამოცხატავდა უფ. ფურცელძე...ეს-
ვე ისეთი პრეტენზიაა, რომელაც მხოლოდ დოკიზატს შე-
ეფერება. — მერე ძალიან ყვირის იმაზედ, რომ მე ესთქვი
იმის ქართული ენის უცოდინარობა. ამაზედ ამბობს, რატომ
ღმერთი არ ვაიციანებსო, რომ ავალი შეილი ჰქონდა ქართულს
ენას დასცინისო. თუ აღარ დაუშლია და მართლა ჰგონია,
რომ ქართულ ენაში ღრმად არის განსწავლული, — წარუ-
დგენთ მკითხველს აწ გარჩეულის სტატიიდან რამდენსამე სუ-
რათს უფ. ფურცელაძისგან ქართული ენის ღრმად ცოდნისას.

იხილეთ:

„ე ი ლ ა ს ა ც კ ე თ ი ლ ი ს მ ყოფელს.“ მგონი ასე უნ-
და ეთქვა: ეილა ც კეთილის მყოფელს, თუარა იმის ნათქვამში
სხვა აზრი გამოდის.

„ჯერ ჩვენში სვინდისიანი მოქმედება საზოგადო საქმი-
სთვის ძვირათ თუ ვისმე აქვს ნათლად გამოკვეთილი (უფ.
ფურცელაძის მეტს, რასაკვირველია) და ისიც რა სა-
აქნისოა, არა მც თუ ლიტერატურა და ყო-
ველი საქმე, რასაც კაცი ხელს მოჰკიდ-
ებს; და ამითი წარმოადგება რომ დღეს,
როდესაც...“ სხე. მკითხველო, გაიგე, რას ამბობს,
მიხედრა შეიძლება და ნამდვილად გაგება კა არა.

„ყოველი მწერლის მეცადინეობა....უნდა იყვეს,
რომ გამოჰყვანდეს მკითხველი თავისი სრულ
აზრები დამა და რწმუნებიდამა.“ მგონი ქართულად
ასე უნდა ეთქვა: ყოველი მწერლის მეცადინეობა უნდა

იყვეს ისეთი, (ან იმ გვარი) რომ გამოჰყვანდეს მკითხველი თავისის ცრუ აზრებიდამა და ცრუ რწმუნებიდამა, — თუ არ იმის ნათქვამიდან სულ სხვა აზრი გამოდის, რომელსაც უეჭველია არა ფიქრობდა.

„...ყურადღება მისცეს...“ ამბობენ: ყურადღება მიაპყრეს.

„...მაშინ უფრო კიდევ კარგად ვამბობთ, რა აზრითაც უფროა...“ აბა კიდევ წაიკითხეთ: მაშინ უფრო კიდევ კარგად ვამბობთ... უეჭველია უ. ფურცელაძეს ჰსურდა ეს აზრი ეთქვა: მაშინ უფრო ცხადად გამოჩნდება, ანუ: მაშინ უფრო გამოამჟღავნდება, რა აზრითაც არის გამოცემული...და სხე.

ალარ გაცევები იმის ქართული ენის ცოდნას, რადგან ესეცა ქმარა ჯერ ხანათ, და ახლა მინდა ვკითხო უ. ფურცელაძეს: რათ უკვირდა, რომ მე იმის ქართულ ენას ვიწუნებდი? იმისი არ იყოს, ეს ჯერ სტაფილოა, ჭარხალი და ბოლოკი იმის ენის უცოდინარობისა სხვა არის, რომელზედაც ჩვენ თავის ღროს მოვილაპარაკებთ.

მერე ჩემ სტატიას, იმაზედ დაწერაღოს, უთავბოლოვს ეძახის და ამბობს „რადასაც ტიტინებსო“. ამის შემდეგ რაღაც თავისებური ულოლიკობა უწერია, რომელსაც მართლა რომ ვერც თავი გაუგე და ვერც ბოლო. (მკითხველს შეუძლიან იხილოს: „ღროების“ 30 ნომერში, მე — 4 გვერდზედ, პირველი სვეტის მეოთხე მუხლში). ჩემი ტიტინისა კი რა მოეახსენო? მე მგონი იმგვარ განცხადებაზედ და ამასთან გამეორებულზედ არავისგან არ იქნებოდა საკვირველი ისეთი ტიტინი... მაგრამ რაქნას? თავისი სჯა ყოველი კაცის

სჯას უნდა დაამჯობინოს, რომ დიდი ვინმე გამოჩნდეს —
დონკიხოტოც ამ ხასიათისა იყო....

შემდეგ დიდად მეცნიერობს და „ცისკრის“ მოსპობაზედ-
დაც ბევრს არახუნებს. ერთი ვინმემ ჰკითხოს: ეინა ჰკითხავს
შავას „ცისკრის“ მოსპობას, და შავის სურვილები ამხედ ისეამოა
და ტყუილნი არ არიან, როგორც სურვილი ვისიმე მთვა-
რემდის ტელეგრაფის გამბისა, ან რკინის გზის გაკეთებისა?..
შაგრამ ესეც დონკიხოტოტობით მოსელისა!..აბა ცისკრის მოს-
პობა მაშინ ეთქვა ვისმე, როდესაც თითონ იყო იმის სურ-
ველადკორი. მაშინ უყურებდით რაზდენ დაროგებასა და ნა-
ტაციებს წაუყიფთხავდა იმის მტკიცელს!.. მაშინ სხვა იყო: მაშინ
ცისკრისა სხვა ფრივაც ჰქონდა იმედი და ეხლა რაღაში
ეჭირება? ეხლა სულ სხვა მხრიდგან აქვს იმედი. მე მგონი
ეხლა სულ აღარა ინდელლოსრა, რომ არათუ „ცისკარი“, რო-
მელსაც მტრობს, არამედ თვით „დროებაც, რომ მოისპოს
იშისთვის სულ ერთი იქნება. მაგრამ, ეს შემცდა. „დროება“
რომ მოისპოს, მაშინ სადღა იბაქიებს ამდენსა?!

ძალიან ცდილობს დაამტკიცოს (ზდილობით კი, რასაკერ-
ველია — დონკიხოტოც ეპრე იქცეოდა), რომ სრულებით არა
დაუშაფებიარა, თუ, ჯერ კი დაგვიბრდა „ცისკარში“, უმთა-
ერესსა მონაწილეობას, და შერე კი თავი დაგვანება. თავის
გასამართებლად ამბობს, რომ მე „ცისკარს“ იმ კონტრაქტის
ძალით დაევანებოთ თავი, რა კონტრაქტითაც ვიყავ შეერული
უფ. კერესელიძესთანაო. ესთქვათ უფ. კერესელიძის კონტ-
რაქტის დარღვევის საბუთი ჰქონდა (ესთქვათ ჰქონდა, — თორემ
ესეც კი საიჭვოა), — ჩვენთან, მკითხველებთან თავის აღთქმის
დარღვევის საბუთი ვილამ მიანიჭა? მე ვუპასუხებ: ბედნიე-

რმა შემთხვევამ და „ცისკრის“ რედაქციაზედ უთბილესმა ალაგმა... პატარა რომ მოეცა, მე იქნება ვერ შეთქვა ეს იჭვები, მაგრამ უფ. ფურცელაძე ისე სავეირველად მოიქცა, რომ კაცმა სწორედ ეს უნდა იფიქროს. — და ამ ფაქტის შემდეგ უფ. ფურცელაძეს არ ეთაკილება სთქვას, თუ მე გამოვეც კალენდარი მხოლოდ ფულებისთვის და ამას დაუშატოს კიდევ სხვა მრავალი თავხედობა!! მაგრამ არა უშავს რა — ღონისობა!....

მე ეხლა, გათავების დროს, უნდა მოვასხნო უფ. ფურცელაძეს, რომ სრულებით არ მიმიღია „ცისკარში“ იმის ალაგი ანუ „უშთავრესი მონაწილეობა“ (ეგ რა ჩვენი საქმეა) და ამისათვის სრულებით არ მეკითხება მე რას ჰბეჯდავენ „ცისკარში“ და რას არა. ამის გამო დიდი და კაცის შემარცხენელი ცილის წამებაა, რომ ბრძანებს, ვითომც მე დამეზღვდინოს ჩემ კალენდარზედ ქება; მაგრამ, რომ არ შევრცვენოდა და სხვა და სხვა მიზეზებს არ მოჰრიდებოდა, მე დარწმუნებული ვარ იმასაც იტყოდა, რომ ის ქება არათუ ჩემგან არის დაბეჭდილი, არამედ დაწერილიც თვით ჩემგან არის. ესეთი ცილის წამება უფ. ან. ფურცელაძისთვის აღვილია. შამ რაღა ღონისობი იქნება, თუ კი აღვილი არ იყოს იმისთვის ამ გვარი თავხედობები!!..

ის კი უნდა კარგად იცოდეს უფ. ფურცელაძემ, რომ იმის ცისკრის რედაქციაში მოკლებით, „ცისკარს“ სრულებით არა ფერი არ დააკლდება. მე ესთქვი და კიდევაც გავიმეორებ, რომ ამ წელიწადს რაც გამოვიდა ფურცელაძის კალმით (უწინდელებიც ამ სურათისანი არიან) — არ შეადგენენ ისეთ მარგალიტებს, რომ იმათმა ავტორმა ისრე გაიზვიადოს თავი.

რომ ყველა იმის დაწერილ სტრიქონში ისმოდა ის კილო, რომ მთელი ქვეყნის მწერლებს მე ვჯობივარო. თუ აღარ დაუშლია და თავის ნაჯღაზნები შიამნია დიდრამედ — ჩვენ ვეცდებით თავის ღროს დაუმტკიცოთ წინააღმდეგი, და ამასთან მაშინ იმასაც დაუმტკიცებთ, რომ იმის „სამის თავს გარდასაღებში“ (ესეც ქართული ენის ღრმად ცოდნის სურათი გახლავს) რუსის მწერლებიდან ნასესხები ბევრი არის, და ამასთან ჩვენი ცხოვრებიდან იქ თითქმის არა არისრა. — არც ეს სჯერა რომ ვიცით, მაგრამ დავაჯერებთ.

უ. ან. ფურცელაძე თავის გამოლაშქრებას ათაებს იმით, რომ მარცხებს მე, თუ როგორ მოვიქცე, თუ ვინიცაბაა აღარ დამიშლია და მწერლობა მინდა. იმ დარიგებას შეუკანფე უბრუნებ იმას, სრულებით შეუცვლელად, რადგან იმას უფრო ეჭირება და უფრო ემესაბამება იმ გვარად მოქცევა. — მერე კიდევ ბევრს არახუნებს და თავხედობს და აზოლოებს თავის „ლანძღვას“ (იმ ნაჯღაზნს სტატია არ დაერქმევა) ამგვარად: „იქნება კარგად ვერ გაიგეთ თქვენი თავის მდგომარეობა და თქვენი თავის ნაკლებულება (ნაკლებულება უნდა ეთქვა უთუოდ?), — შეიძლება ერთი ორიოდ დღე კიდევ შემოვწირო თქვენს გონიერებასა. მე ეს დიდ მადლად მიმაჩნია, რომ კაცმა კაცს თავისი თავი აცნობოს.“ — დონკიხოტიც ესრე შეუთვლიდა ხოლმე თავის მოწიაღმდეგეს... ამგვარი შეთვლა ჰანშნაეს დიდ გულს და სულის უძლურებას...

ამ სტატიაში გამოწერილი სიტყვები უფ. ფურცელაძისა ცხადათ აჩვენებენ იმის თავის მდგომარეობას, რომელიც იმყოფება იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიაც იმყოფებოდა ლანჩელი რაინდი დონკიხოტის თივი, და ყვე-

ლა უფ. ფურცელაძის სიტყვები ჰგონან იმ სიტყვებს, რა სიტყვებსაც ხმარობდა დონკიხოტი თავის დამარცხების დროს: დიდგულა სიტყვებს, რახარუხს და თავხედობას. როგორც სჩანს, თავის იდეალად ლამანჩელი დონკიხოტი აუღია, — ეტყობა ბევრი უფიქრია მანამდის და საგულღი-გულღოდ ეს ამოურჩევია... კარგი ჰქვა უფიქრია... ღმერთმა დონკიხოტის ჰქვით დააბეროს!.. მაშინ უფრო ნეტარება საქართველოს!..

„დროებასაც“ დიდი ბედნიერება დავხწივა, რადგან ისე ჩინებულად აღუსრულა უფ. ფურცელაძემ თავისი აღთქმა, რომელიც იმყოფებოდა იმის პირველ განცადებაში, სადაც ამბობდა, რომ, ესლა „დროებაში“, დავბეჭდავ ჩემ სტატიებსაო. ნეტარება „დროებას“! ლანძღვის ნაწილი აკლდა და ესეც შეუსრულა უფ. ფურცელაძემ: ამ გვარ სტატიებს, უეჭველია უფ. ფურცელაძე ბევს მოუშხადებს იმას... მაგრამ მე კი მეშინიან რომ თვით „დროებაც“ არ მოაწყინოს ქართველებს...

ჩემი თავის ცნობაზედ კი უფ. ფურცელაძემ უნდა ხელი აიღოს, თუ იმის ნებაც იქნება, რადგან, უეჭველია, ამ სურვილის მექონე ის მრავალჯერ წაიბორძიკებს სინიდისში. ის მე სრულებით ვერ მიცნობს, რა ვარ და რა არა. იქნება მე ყველაზედ უარესი ვიყო, — მაინც უფ. ფურცელაძეს არ მეუძლიან ჩემზედ სჯა იმ საბუთით, რა საბუთითაც მე არ შემიძლიან ესაჯო იმ კაცზედ, რომლის ცნობა სრულებით არა მაქვს, და თუ ჩემი კალედრიდგან გამოჰყავს ჩემი ცუდ-კაცობა — უეჭველია დიდი ლოღუკის პატრონი უნდა იყვეს... მაგრამ ლოღიკა რა დონკიხოტების საქმეა!..

მე დავაბოლოებ იმით, რომ, თუ მაშინ აღუთქვი უპასუხოზა, იმ მიზეზით აღუთქვი, რომ იმედი მაქონდა იმის კეთილ გონიერებისა, მაგრამ იმისმა მომეტებულმა ურთიგობამ და ცალის წამებამ დამარღვევინეს ჩემი აღაქმა. ახლა, უეჭველია, ამაზედ უფრო გამომილაშქრდება. თუ ვინიცობაა მე აღარ ეუპასუხე, — ნუგონება რომ შემემინდა და იმიტომ ღრ ეუპასუხე, — ამას თავის დღეშიაც ნუ იფიქრებს: დონკი-ხოტები სწამნი არ არიან... მე თუ ვინიცობაა მოვერიდო იმის გაპასუხებას, — ეს სწორედ იმ მიზეზით მოვერიდები, რომ მიზეზითაც — გაეიმეორებ — გონიერი კაცი მოერიდება ნაგვის გაქცეას, რაკი შეიტყობს, რომ ნაგავია... ეს საბუთი მგონი საკმაოა, თუ უფ. ფურცელაძეც დამეთანხმება...

ნ. ავალიშვილი.

2 აგვისტოს.

ამ 1867 წლის ცისკარზედ, იუნისის თვეში მოემატნენ
ჟურნალს შემდგომი კელის-მომწერი.

ქ. თბილისში:

65 თ. გივი ამილახვარი.

ნიკოლოზ ავალიშვილი.

პელე გაბაევი.

სოფიო ბესირგანოვისა.

მაგაზია მურადოვისა.

100. თ. ალექსანდრე თარხანოვი.

თ. მიხეილ ერისთავი.

თ. იასე ჭავჭავაძე.

თ. ნიკოლოზ ჭავჭავაძე.

თ. იოსებ ციციშვილი.

საზოგადო საქმის დეპარტამენტი

სეიმონ ბაქრაძე.

ია ბუჩყიძე.

თ. დიმიტრი აბხაზოვი.

თ. ზურაბ ავალოვი.

თელავში:

110 თ. ალექსანდრე ვახვახოვი.

თ. სეიმონ ჯორჯაძე.

თ. გიორგი ჯორჯაძე.

სიღნაღში:

თ. რევაზ ვაჩნაძე.

თ. ზურაბ აბაშიძე.

ზუგდიდში:

თ. გრიგოლ დადიანი.

ჟნ. ბარბარე ჯორჯაძისა.

ტაგუ ჯიჯიხია.

გორში.

თ. შიხეილ ერისთავი.

თ. დავით მაჩაბელი.

პეტერბურგში.

120 ნიკოლოზ ყიფიანი.

კოსტანტინეპოლში.

ელისაბედ სერაფიმოვიჩისა.

ქუთაისში.

122. გიორგი დიდებულიძე.

1867 წლის

„ცისკრის“ დაბარება შეიძლება ამ სახით:

თბილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად 6 მან, დამატებით 7 მან.

სხვა ქვეყნებში გაგზავნით, დაუმატებლივ 7 მან, დამატებით 8 მან.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საჟუთარს კერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისში.

ვისაც ჟურნალი დაუღდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმოკრჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ აღრესით,

„ცისკრის რედაქციაში, ტფილისს.“